ეროვნული ბიბლიოთეკა
825
1974

თავისუფალი ტribuna

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

სარედაქციო კოლეგია: ლევან ზურაბიშვილი, † მიხეილ გრიგოლია, ვიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 6 — პ ა რ ი ზ ი — **დეკემბერი** 1974

ბედნიერი შობა-ახალი წელიწადი

როცა ჩვენი მკითხველები ამ ნომერს მიიღებთ, შობა-ახალი წლის დღესასწაული კარებზე იქნება მომდგარი. დე, ყველა თქვენგანისათვის ეს დღეები ყოფილიყვნენ უაღრესად ბედნიერნი.

1975 **წელს თქვენთვის მოეტანოს ყველა ძვირფასი ნანატრის ხორცშესხმა, მათ შორის უმთავრესი და უპირველესი: განთავისუფლებულ საქართველოს ბედნიერ მომავალში თქვენი აქტიური მონაწილეობა.**

ა მ ნ ო მ ე რ შ ი :

საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა	
განდეგილს (ლექსი)	**გ. ყიფიანი.**
ჩემი პროტესტი ბ-ნ დ. ვაშაძეს.	**ლ. ზურაბიშვილი**
ირაკლი წერეთელი	**მ. ხუნდაძე.**
კრასნოდარის „სასამართლო“	**გ. წერეთელი.**
უკიდეგანო ტყეულები და სინამდვილე	**მამგალი.**
„ქართული“ თუ „დარბაისლური“	**ელ. მაყაშვილი**
დავიცვათ ქართული	**ბობოთელი.**
† მიხეილ დადიანი	**გ. ვაჩნაძე.**
ვ. ჩუბინიძის მოგონებების გამო	**† გ. კ. წერეთელი**

ქართული მართმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა

რუსულ „თვითგამოცემის“ საშუალებით ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა, რომელშიაც აღწერილია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა და მისი მომავლის მეტად შავი პერსპექტივები. აღნიშნული დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ხელმოწერილია ქართველ მორწმუნე ქრისტიანთა ჯგუფისაგან და იწოდება: „განცხადება ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე საქართველოში.“ 1974 წ. 14 მარტ. თარიღით. ამ განცხადებას დართული აქვს ორი საბუთი:

ა) თბილისის კიროვის რაიონის გამომძიებელის მოადგილის, დავით ქორიძის გამოძიების დასკვნა, მიმართული საქ. კ. პ. ცენტრალური კომოტეტისადმი, 19 მარტს 1973.

ბ) ისტორიკოს, თეიმურაზ ჯვარშეიშვილის ჩვენების ტექსტი: „იმ დანაშაულობებზე, რომლებიც იქნენ ჩადენილი საქ. საპატრიარქოში ეფრემ მეორის სიკვდილის შემდეგ 1972 წლის გაზაფხულზე.“

მათი მოკლე შინაარსი ასეთია: საბჭოთა კონტიტუცია ითვალისწინებს ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. არც ეკლესია უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებში და არც სახელმწიფო ეკლესიისაში. პირველი თავისთავად ხორციელდება — ეკლესია არ ერევა და არც აქვს საშუალება ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში, სამაგიეროდ, არც ერთ ორგანიზმზე არ ხდება სახელმწიფოსაგან ისეთი თვალყურის დევნება და მკაცრი კონტროლი, როგორც ეკლესიაზე. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კონტროლს, ხელისუფლება აწარმოებდა მისი საკულტო რწმუნებულის დავით შალუტაშვილის საშუალებით. თუ ადრე ეკლესიას ებრძოდენ აშკარად და მას ფიზიკურად ანადგურებდნენ, ომის შემდეგ, პოლიტიკა შეიცვალა, რეპრესიების მაგივრად დაიწყეს მის შიგნით პოლიციის აგენტების შეგზავნა, და ეკლესიის შიგნიდან გახრწნა. რასაკვირველია, შესაგზავნ კანდიდატებს აირჩევდნენ განსაკუთრებით ნაძირალა და კრიმინელ ელემენტებისაგან. ეკლესიის „მსახურთა“ ამ ჯგუფს მორწმუნეები უწოდებენ: „წითელ სამღვდელოებას“ მათი დამახასიათებელი თვისებებია: სქესობრივი გახრწნილება, ხარბობა, ქურდ-ბაცაცობა და სასულიერო საქმეების უცოდინარობა. წითელი სამღვდელოება, განსაკუთრებით გამრავლებულა, ეფრემ მეორის კათალიკოსობის დროს, 1960 — 1972 წლებში.

ხასიათის სისუსტის, თუ მასზე წარმოებული შანტაჟის გამო, ეფრემ მეორე, ხელისუფლების წარმომადგენელს, დ. შალუტაშვილს და პოლიტიკურ პოლიციას ნებას აძლევს მის საკადრო პოლიტიკაში ჩაერიონ და მათთან შეთანხმებით, საეკლესიო თანამდებობებს არიგებს არა ღირსების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით ვინ, ვინ [illegible] დაიხდის.

ეფრემ მეორის სისუსტეს სათანადო ნაყოფი გამოუღია და მისი სიკვდილის შემდეგ სრულიად საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას, სწორედ ეს წითელი სამღვდელოება დაპატრონებია.

დავით მეხუთე.

თვით ახლანდელ კათალიკოს- პატრიარქს, დავით მეხუთეს (საეროში ხარიტონ დევდარიანი), მიღებულ დოკუმენტის მიხედვით არ აქვს სათანადო არც საერო და არც სასულიერო განათლება, ეკლესიის წესებით კი ამ უმაღლესი თანამდებობის პირისათვის სავალდებულოა უმაღლესი განათლება. მიტროპოლიტობის დროს მას გამოუჩენია სიხარბე, მლოცველებს, რომლებიც საკმარისად არ იხდიდენ, ის ეკლესიიდან აძევებდა.

ეფრემ მეორის სიკვდილის შემდეგ, ხ. დევდარიანმა მონაწილეობა მიიღო, საპატრიარქოს გაქურდვაში და ეფრემ მეორეს მიერ დატოვებულ ანდერძის გამოცვლაშიო, ამბობს დოკუმენტი.

ამ ანდერძის მიხედვით, ეფრემის სიკვდილის შემდეგ, კათალიკოს-პატრიარქის ტახტი უნდა დაეკავებია მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილს, ერთადერთ მაღალ საეკლესიო თანამდებობის პირს, სათანადო განათლების მქონეს, საეკლესიო საქმეების კარგად მცოდნეს და ამავე დროს დიდი ავტორიტეტის მქონეს, ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა შორის, როგორც საქართველოს შიგნით ისე მის გარეთ.

ი. შიოლაშვილი ახალგაზრდაა და საერთოდ შეძკულია ყველა იმ თვისებებით, რაც საჭიროა მორწმუნეთა სულიერი მწყემსობისათვის. ყალბ ანდერძში, ი. შიოლაშვილის მაგივრად საპატრიარქო კანდიდატად დასახელებული იყო ხარიტონ დევდარიანი. ეფრემ მეორეს სიკვდილის შემდეგ, ორ საათსაც არ გაუვლია. რომ ხ. დევდარიანმა და მისმა თანამზრახველებმა სასწრაფოდ მოიწვიეს სინოდის საბჭო. საეკლესიო წესდების თანახმად სინოდის სრულუფლებიან წევრებად ითვლება ყველა მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი. რომელიმე მათგანის დაუსწრებლობის შემთხვევაში სინოდს არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი დადგენილების მიღება.

ახალ პატრიარქის არჩევის დროს მოწვეული არ ყოფილან არც მიტროპოლიტი ი. შიოლაშვილი და არც ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი. ვინაიდან თავის კანდიდატურას ხმას ვერ მისცემდა ხ. დევდარიანი, ამიტომ, ამომრჩევლებათ დარჩენ, მხოლოდ რუსი ეპისკოპოსი ზინოვი მაჟუგა და ბიძინა კერატიშვილი, ორივე ხ. დევდარიანის თანამზრახველი და ბნელი საეკლესიო პირი.

ახალ კათალიკოს—პატრიარქს, — დავით მეხუთეს დაუწყია დევნა და შევიწროება ყველა მის მოწი-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე.)

განდეგილს

არ შეგშვენის,
არ შეგშვენის
გარე-გარე გარება,
შენ არ იცი
თუ რა არის
გულის გადაგვარება.
ეკლის გზები
უნდა განვლო
დახეული ხორცფეხით,
თუ გინდა რომ
მიწამ იგრძნოს
შენი გულის ლოცვები.
დაიბადე
შენ რა გქონდა!
მოკვდები რა გექნება!
გარდასულში
რომ გარდახვალ
რა სახელი გერქმევა?
ნუ თუ მართლა
დაივიწყე
ჩვენი ყოფნა, ცხოვრება?
ვინც დავრჩით და
ვინც დავმარხეთ —
ბრძოლის განმეორება
არ შეგშვენის,
არ შეგშვენის
გარე-გარე გარება,
საფლავშიდაც
შეგაწუხებს
გულის გადაგვარება.

გ. ყიფიანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : მცირერიცხოვანია ჩვენი ეროვნული ემიგრაცია — მაგრამ, როგორც ყოველივე ცოცხალ სხეულს, მასაც ჰყავს მიძინებული უჯრედები, ე. ი. უცხოეთში გახიზნული ერთეულები, რომელთაც- დაავიწყდათ თუ რისთვის იკისრეს ლტოლვილობა, და თუ რა მოვალეობა აქვთ მშობელი ტანჯული ერის წინაშე... ესენი თავისთვის ცხოვრობენ, და თავის „განდეგილობის“ ზოგჯერ გამართლებასაც ცდილობენ: „ჩვენ ხომ ქართველობაზე ხელი არ აგვიღია“-ო...

იქნებ ჩვენი პოეტის ლექსმა, ერთი-ორი ასეთი ქართველი ჩააფიქროს, და მათ გულში, თუ კიდევ ღვივის ემიგრაციის საერთო მოვალეობისადმი გრძნობის ნაკვერცხალი — სიცოცხლე დაუბრუნოს და ალად აქციოს.

კალაურელი.

ჩემი პროტესტი ბ-ნ დ. ვაშაძის წერილის გამო

ჩემი ავადმყოფობის გამოისობით, ბ-ნ დ. ვაშაძის წერილი, მოთავსებული „თ. ტ.“-ის მეხუთე ნომერში წაკითხული არ მქონდა—თორემ მისი დაბეჭდვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიქნებოდი: რადგან ეს მავნე, ყოველივე რეალიზმს მოკლებული ფანტაზია, პირადი უომედობის წყალს, საჯაროდ, მტრის წისქვილზე ასხამს!

იგულისხმება, რომ არც ბ-ნ გ. წერეთლის პასუხი მაკმაყოფილებს.

თავისთავად დასაძრახი არ არიან პირადი განცდები ისეთი ქართველი ემიგრანტისა, რომელიც მისივე თქმით, „30 წელი“ მოწყვეტილია ქართულ ემიგრაციის „პრაქტიკულ სინამდვილეს“, და რომელსაც ეხლა მოქმედობის სურვილი იპყრობს... მაგრამ განა ეს მას უფლებას ანიჭებს — მოსკოვის დამქაშის ბესო ყღენტის მოწმობაზე დაყრდნობით; — შეუდგეს ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ემიგრაციის **არსის** და **საქმიანობის** გაბიაბრუებას?! (რაც ეხება ბ. ყღენტის 1965 წ. ოქტომბრის ცინიკურ იერიშს — ჩვენ მას სათანადო პასუხი გავეცით 1966 წ. იანვრის „ცნობის ფურცელში“.)

საიდან მოიტანა ბ-ნმა ვაშაძემ რომ ვითომც, „ჩვენი თაობის ეროვნულ ემიგრაციას ერთი გარკვეული და შეურყეველი ხაზიც ვერ მოუძებნია?“ რამ გააბედვინა სიცრუის გავრცელება, რომ დღეს ვითომც არსებობდეს ჩვენი პარტიების შორის „კინკლაობა და ინტრიგები?..“

ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრიც, ეროვნული საბჭოც, პარტიებიც, და ამერიკაში არსებული ორგანოები და ცალკე პიროვნებებიც, ერთის მიმართულებით მოქმედობენ, და საჭირო შემთხვევებში ერთად, შეთანხმებულად გამოდიან ასპარეზზე. სამი და ოთხი შემოჭრილი ნიღაბიანი მტრის აგენტი, — ემიგრაციის მთლიანობას ვერ შლის.

თუ საქართველოში, მტერიც და მოყვარეც ანგარიშს უწევს ჩვენი პატარა **ეროვნულ-პოლიტიკური** ემიგრაციის არსებობას, — ეს სწორედ იმიტომ რომ, ამ ემიგრაციის სულიერი მთლიანობა, მისი სიმტკიცე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში, მის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებების, და ისტორიულ-კულტურული მეობის დაცვა, არასდროს არ შეწყვეტილან! აი ამიტომ მუდმივი იერიში მოაქვს მტრის „სამშობლოს“ ჩვენი ემიგრაციის მოსაშლელად.

აღმოსავლეთური ანდაზა ამბობს: „ჭაში მჯდომარე, ცის კამარის მხოლოდ მცირე ნაკვეთს ხედავს...“ დაუმატოთ რომ სავალალოა, როდესაც ის გაკადნიერდება და თავს ვარსკლავთმრიცხველად წარმოიდგენს. აი მაშინ გულუბრყვილობამ შეიძლება მავნე შეცდომის ხასიათი მიიღოს.

ასე, ვიღაც, ემიგრაციის „თავკაცებთან“ მიწერ-მოწერამ ჩაუსახა ბ-ნ დ. ვაშაძეს აზრი, რომ არსებულ ემიგრანტულ ორგანოთა დაშლა მას საშუალებას მისცემს, მრავალ ქვეყნებში მიმოფანტულ ემიგრაციის წიაღიდან „ქუდზე კაცის გამოყვანისა“ და რომ ის მას შეუქმნის **ერთს, სანდოს, ყველასათვის ავტორიტეტულ, სამოქმედო გეგმის შემქნელ, ხელმძღვანელ ორგანოს...** რომელსაც თურმე, ამერიკაში, ავსტრალიაში, თუ ევროპაში მყოფი ყოველი ემიგრანტი, უეცრად დაემორჩილება, და „აქტიურად“ გვერდში ამოუდგება?..

ამ სასწაულების საშუალება? ბ-ნ დ. ვაშაძის თილისმაა და საიდუმლოება!..

ყველაფერ ამას უპასუხისმგებლო „გრაფომანიათ“ ჩავთვლიდი დეფეტისტური, პოლიტიკურათ მავნე ხასიათი რომ არ ჰქონდეს. ვწუხვარ რომ ასეთ ნაწერს, ჩვენ გაზეთში ადგილი დაეთმო (მერე რა სიუხვით!).

ლევან ზურაბიშვილი.

29678

ბიბლიოთეკა LIBRARY

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარ. მართლმადიდ. ეკლესიის მდგომარეობა

(დასაწყისი იხ. მე-2 გვ.)

ნაალმდეგე მღვდელ-მსახურთა მიმართ. მაგალითად, სიონნის ტაძრის მსახური მღვდელი, ავთანდილ სამხარაძე მოხსნა თანამდებობიდან, მიტროპოლიტი შიოლაშვილი გაანთავისუფლა მცხეთის სემინარიის რექტორობიდან და გადაიყვანა აფხაზეთში, და სხვა. სამაგიეროთ აწინაურებს თავის მომხრე მღვდელ-მსახურებს. საპატრიარქოდან გატაცებული ძვირფასეულობით უხვად ასაჩუქრებს მის მფარველებს, რწმუნებულ დ. შალუტაშვილს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტებს და თვით ყოფილ პირველი მდივნის ვ. მეავანაძის ცოლს ვ. ტირისკეკიჩს. ყველა ამ დანაშაულებებთან ერთად ახალ პატრიარქს ბრალდება საქ. მართმადიდებ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების განზრახვა. თითქოს, რუსეთის ეკლესიის პატრიარქ პიმენის წარმომადგენელს, მისი პიროვნებისათვის მხარის დაჭერის საფასოდ ის დაპირდა საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარებას.

ამგვარად დღევანდელი ქართული ეკლესიის მეთაური — დავით მეხუთე, დოკუმენტები, დახასიათებულია როგორც თანამდებობის უზურპატორი, უვიცი, ცბიერი, მაგრამ სუსტი გონების, ავადმყოფი და ღრმა მოხუცებული. სინამდვილეში საპატრიარქოს განაგებს ეპისკოპოსი გაიოზ წილკნელი, საეროში ბიძინა კერატიშვილად ცნობილი.

ბიძინა კერატიშვილი.

ბიძინა კერატიშვილი წარმოადგენს „წითელი“ სამღვდელოების ნამდვილ წარმომადგენელს. მისი, როგორც წარსული ისე აწმყო დახასიათებულია მეტად შავ ფერებში და საქართველოს ეკლესიის დღევანდელ აურზაურში ის მოჩანს, როგორც ცენტრალური ფიგურა. ბ. კერატიშვილი დაბადებულია 1945 წელს, საგარეჯოში. იქვე დაუმთავრებია საშუალო სკოლა. 1964 ჩაირიცხა თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და 1969 წლამდე მან მოახერხა მხოლოდ მეორე კურსზე გადასვლა. ამ წელს ის გამორიცხეს უნივერსიტეტიდან, ზოგიერთის თქმით, გარყვნილებისათვის.

ეფრემ მეორემ ის მიაღებია სემინარიაში მესამე კურსზე, მაგრამ სემინარიის იმ დროინდელმა რექტორმა ი. შიოლაშვილმა საექიმო კომისიის საშუალებით გამოაძევა სემინარიიდან. მას აბრალებენ ნარკოტიკების გავრცელებას სემინარისტების შორის და ამის შედეგად ერთი მათგანის (ობოლაძეს) სიკვდილს. სემინარიიდან გამოძევებული ახალგაზრდა, ეფრემ მეორეს მიუღია საპატრიარქოს უმცროს მდივნად. ამის შემდეგ ბიძინა კერატიშვილის კარიერა ელვისებურად მიიმართება: 1971 წელს, ეფრემ მეორემ ის აკურთხა ბერად, იმავე წლის დეკემბერში, ჯერ დიაკონად დანიშნა, ხოლო შემდეგ — მღვდლად. 26 მარტს 1972 წელს, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა ეფრემ მეორე ამდგარა ლოგინიდან, მისულა სიონნის ტაძარში და საკუთარი ხელით დაუდგამს ეპისკოპოსობის გვირგვინი. ამ მომენტიდან, გაიოზ წილკნელი, იგივე ბიძინა კერატიშვილი ხდება ფაქტიური გამგებელი საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსი. ერთი დღით ადრე ეფრემ მეორის სიკვდილისა გაძარცულ იქნა საპატრიარქო. ძვირფას ისტორიულ საგნებს გარდა გატაცებული იქნა თვით ეფრემ მეორის პირადი ნივთები და ფული. სეიფი იქნა გახსნილი და მასში მოთავსებული ეფრემ მეორის ანდერძი, შეცვლილ იქნა ყალბი ანდერძით. და შემდეგ ამ ყალბი ანდერძის მიხედვით იქნა „არჩეული“ ახალი პატრიარქი. ყველა ეს ბოროტმოქმედებანი თითქოს ჩადენილია ბ. კერატიშვილის მიერ უშუალოდ, ან მისი მეთაურობით. საპატრიაქროს გაძარცვის მეორე დღეს, 7 აპრილს 1972 წელს გარდაიცვალა ეფრემ მეორე, თითქოს არც ეს მომხდარა ბუნებრივი გზით. არამედ ბიძინა კერატიშვილს ორმაგი წამლის დოზის მიღებინებით დაეჩქარებიოს მომაკვდავი პატრიარქის საიქოში გასტუმრება. კერატიშვილმა ყალბ ანდერძში თავისი გვარი არ ჩაწერა, რომ ეჭვი არ აეღოთ, სამაგიეროთ მან ჩაწერა ხ. დევდარიანის კანდიდატურა, რომლის სიკვდილის შემდეგაც იმედი აქვს გახდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი. უკვე ღებულობს საჭირო ღონისძიებებს ამ მიმართულებით: აწინაურებს მის თანამზრახველ „წითელ სამღვდელოებას“ ხოლო მოწინააღმდეგეებს ან შორეულ პერიფერიებში ამწესებს, ან სრულიად ითხოვს სამსახურიდან. იგი არ ერიდება მოწინააღმდეგეთა დაშინებას, შანტაჟს და მკვლელობასაც კი. ამნაირად, დოკუმენტის მიხედვით. მცხეთის მოძღვარი, ვიქტორ შალამბერიძე რომელიც კერატიშვილის დიდი მოწინააღმდეგე იყო, დაღუპულა თავის ოჯახის წევრებთან ერთად, ავტომანქანის საეჭვო ავარიაში, 11 თებერვალს 1974 წელს. აღსანიშნავია რომ, კერატიშვილს თავის კრიმინალურ საქმიანობაში მფარველობდა და ხელს უწყობდა რწმუნებული დ. შალუტაშვილი, სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის აგენტები და თვით ვასილ მეავანაძის ცოლი, ვ. ტირისკეკიჩი, რომლებიც ვითომ გაწეული სამსახურისათვის ღებულობდენ ძვირფას ძღვენს, საპატრიარქოდან გატაცებულ ქონებიდან. ბიძინა კერატიშვილთან ერთად საპატრიარქოს გაძარცვაში მონაწილეობა მიიღეს ზინოვი მაყუგამ, პახომ ობოლაძემ, გიორგი ტარზიევმა, გიორგი ჩაჩუამ. ეს წითელი სამღვდელოების ტიპიური წარმომადგენლები ქურდობაში. გარყვნილობაში და ზნედაცემულობაში არ ჩამოუვარდებიან კერატიშვილს. მათი წყალობით ზოგიერთი ეკლესია გადაქცეული ყოფილა ლოთობისა და გარყვნილების ადგილად. ბევრგან თურმე წირვა მიმდინარეობს რუსულად. წირვა პანაშვიდი, ნათლვა და სხვა რელიგიური მსახურება არ წარმოებს როგორც წესია,

(იხ. გაგრძელება მე-7 გვ.)

მ. ხუნდაძე.

ირაკლი წერეთელი

(სიტყვა წარმოთქმული ი. წერეთლის ძეგლის გახსნის დროს. ლევილი, 16 ივნისი 1974 წელი.)

ამ გვარად განხორციელდა კაკი წერეთლის იმედი: მე ჩემი ქართველები დამმარხავენო.
მოხერხდა მისი ნაშთის ძმათა სასაფლაოზე დამარხვა, აქ მის თანამებრძოლთა და მეგობართა შორის, — მეგობარ და სტუმართმოყვარე საფრანგეთის მიწაზე.

მისი სიკვდილის 15 წლის შემდეგ—შევიკრიბეთ აქ, ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ხსოვნის აღსანიშნავად.

კაკი წერეთელი იყო დიდი ქართველი, დიდი ქართველი პატრიოტი, მაგრამ ამავე დროს მსოფლიოს დიდი მოქალაქე, მაღალი იდეალით აღჭურვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გულმხურვალედ ამ იდეალს ემსახურა, და ყოველთვის მზად იყო თავისი სიცოცხლე მისთვის შეეწირა.

ეს იდეალი იყო: თავისუფლება, გათავისუფლება ადამიანის, ერების, რასის ყოველგვარ ექსპლოატაციის და ჩაგვრისაგან. ეს იყო მთავარი აზრი სოციალისტურ დოქტრინისა, რომელსაც ის ახალგაზრდობიდან მიეძღვნა და მას სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა.

სოციალიზმი, როგორც ეკონომიური სისტემა რომელიც ნიშნავს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობას და მათი საზოგადოებრივ საკუთრებათ აღიარებას, — არ არის თავისთავად მიზანი. არამედ მარტო საშუალება დიდი იდეალის — თავისუფლების განხორციელებისათვის.. და აი — კაკი წერეთელი მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა თავისუფლებისათვის.

და იმ ისტორიულ პირობებში, როცა მას მოუხდა მოქმედება, მას სწამდა, რომ ბრძოლა ქართველი ერის განთავისუფლებისათვის დაკავშირებული იყო თვით რუსეთის განთავისუფლებასთან, და ის იბრძოდა რუსეთის რევოლიუციონერებთან ერთად, ჯერ ცარიზმის, შემდეგ ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

თქვენ გახსოვთ ახალგაზრდა სტუდენტი, მოსკოვის სტუდენტობის თავმჯდომარე და ლიდერი როგორ იბრძოდა თავარობის წინაღმდეგ. მასთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა და ამისათვის ციმბირში პირველი გადასახლება განიცადა.

თქვენ გახსოვთ მისი ბრწყინვალე მოქმედება მეორე დუმაში, სადაც მან გაილაშქრა ხელმწიფის დიდი მინისტრის სტოლიპინის წინააღმდეგ.

გახსოვთ, ჯერ კიდევ უცნობი, 25 წლის დეპუტატი, სოციალ -- დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარეთ იქნა არჩეული და მთელ სოციალისტურ ოპოზიციის სახელით მან თავრიდის სასახლეში წარმოსთქვა თავისი პირველი ცნობილი სიტყვა, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც დუმაზე, ისე მთელ რუსეთზე.

სტოლიპინმა დასწამა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სამხედრო შეთქმულება, მის მიერ გამოგონებული და პროვოკატორების მიერ აშენებული, და მოითხოვა დუმისაგან, რომ მან გასცეს ს. დ. ფრაქცია. და რაკი დუმამ, ბუნებრივად, უარყო მისი ულტიმატიური მოთხოვნილება, სტოლიპინმა გაყარა დუმა, და ფრაქციის წევრები დააპატიმრა. მათ შორის ირაკლი წერეთელი. მისი დაპატიმრების წინ, ალექსინსკი — ბოლშევიკი ფრაქციის წევრი მივიდა წერეთელთან და მას წინადადება მისცა — მასთან ერთად გაქცეულიყო. კაკი წერეთელმა უარყო ეს წინადადება; მას არ უნდოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგებისათვის საბაბი მიეცა, რომ მათ, დემოკრატიის ლიდერებისათვის დეზერტირობა დაებრალებიათ. შემდეგ, როდესაც მთავრობამ გადასწყვიტა მისი და მისი თანამებრძოლთა, კარდახურულ დარბაზში გასამართლება, წერეთელმა უარი განაცხადა თავის დაცვაზე. — სასამართლოს კომედიაში მონაწილეობაზე. მან წინასწარ მიიღო სასჯელი და გაემგზავრა ციმბირში.

სუსტი ჯანმთელობის პატრონს, მას იმედი არ ჰქონდა, რომ ციმბირიდან ცოცხალი დაბრუნდებოდა. მისი დიდი მეგობარი არჩილ ჯაფარიძე ციხეში გარდაიცვალა, სანამ ციმბირს მიაღწევდა. ხოლო ჭოლა ლომთათიძემ ციმბირის ციხეში დალია სული. წერეთელი რაღაც სასწაულით გადარჩა და როცა 1917-ში დიდი რევოლიუცია მოხდა, ის წამებულის შარავანდედით მოსილი, ტრიუმფით დაბრუნდა პეტროგრადში, სადაც ერთბაშად სათავეში ჩაუდგა მთელ რევოლიუციონურ დამოკრატიას, რომლის ბელადათ, თავიდანვე და უდავოთ, იქნა ის აღიარებული.

საბჭოებში და მთავრობაში, სადაც ის ყველაზე გავლენიანი წევრი იყო, კაკი დაუღალავათ და უსაზღვრო ენერგიით, ორ მთავარ მიზნის განხორციელებისათვის იბრძოდა.

ზავის საჩქარო მიღწევა (ჩამოგდება). მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა რევოლიუციისათვის ომის გაგრძელება.

ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც სამხედრო აჯანყებას ამზადებდა — დემოკრატის დანგრევის და ბოლშევიკური პარტიის დიქტატურის დამყარებისათვის. წერეთელი ერთი იშვიათი ლიდერთაგანი იყო, რომელსაც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის საშინელი განსაცდელი, რომელსაც ბოლშევიზმი თავისუფლებას უმზადებდა და მოითხოვდა ენერგიულ რეპრესიებს მის მეთაურების წინააღმდეგ ივლისის აჯანყების შემდეგ. მაგრამ სოციალისტების უმრავლესობამ მას მხარი არ დაუჭირა, რომელნიც ფიქრობდენ, რომ რევოლიუციას მარცხნივ მტერი არ ჰყავდა.

ეს იყო მათი ტრაღიკული შეცდომა, აბერაცია! დემოკრატია დამარცხდა. დამარცხდა წერეთელი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მის მიერ არჩეული გზა შემცდარი იყო. რა თქმა უნდა, მან თვითონ აღიარა, რომ დემოკრატიის ლიდერებმა შეცდომები ჩაიდინეს.

მაგრამ, საერთო მათი პოლიტიკა იყო სწორი და ზოგიერთ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის და რევოლიუციის ისტორიკოსის აზრით, რუსეთის სამხედრო მოკავშირეებს წერეთლის საზავო პოლიტიკა სწორედ რომ გაეგოთ და მიეღოთ. კაცობრიობა აიცდენდა ბოლშევიზმს, ვერსალის ზავს, ნაციზმს და მეორე მსოფლიო ომს. მაგრამ სამწუხაროთ, პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეებს ლოლიკა და მიუდგომლობა კი არ ამოძრავებს, არამედ ვნება, რომელიც შეცდომებს, უბედურებას და კატასტროფებს წარმოშობს. — თქვენ იცით შემდეგი.

კაკი წერეთელმა დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის კონსოლიდაციის საქმეში და ევროპაში, ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაში და მერე მის უფლების დაცვაში, მას შემდეგ რაც საქართველო ბოლშ. რუსეთმა დაიპყრო, ისე როგორც სხვა ერები, რომელნიც წინათ რუსეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ. და მერე ემიგრაციის მძიმე უღელი, დაუღალავი ბრძოლა ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ და თავისუფლებისათვის, კერძოთ სოციალისტურ ინტარნაციონალში, სადაც მან დიდი როლი ითამაშა არა მარტო საქართველოს უფლებების დაცვის საქმეში.

თქვენ იცით, რომ ინტერნაციონალში მისი გავლენა იმდენათ დიდი იყო, რომ ერთ ხანს, ინტერნაციონალის პასუხისმგებელ ლიდერებს უნდოდათ მისი კანდიდატურა წამოეყენებიათ ინტერნაციონალის მთავარ სეკრეტარის ადგილზე. წერეთელმა წინდაწინვე უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, იმ მოსაზრებით, რომ ასეთი დიდი ადგილი არ უნდა დაიკავოს მან, ვინც თავის ქვეყნის გარეშე იმყოფებოდა და მასთან ის ოკუპაციის ქვეშ მყოფ ქვეყანას წარმოადგენდა.

როგორ შეგვიძლია ავხსნათ კაკი წერეთლის ბედი; ის ადგილი, რომელიც მან დაიკავა ისტორიაში და ის როლი, რომელიც მან ითამაშა იმ ამბებში, რომელთა მოწმე ვიყავით ჩვენ? ოჰ! ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ კაკი წერეთელი დიდი ჭკუით და ნიჭით იყო აღჭურვილი, რომ ის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ტაქტიკოსი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ მან თავისი სიცოცხლე საზოგადო საქმეს შესწირა, არა მარტო იმიტომ, რომ ის ძალიან დიდი ორატორი იყო, რომელიც ხალხის სულისკვეთებას, მისწრაფებას და გრძნობებს ისე ნათლად და ძლიერად გამოხატავდა, როგორც ეს არავის არ შეეძლო, რომელიც ლაპარაკობდა ზეპირად, თავისი თბილი და თან ძლიერი ხმით — და აღაფრთოვანებდა თავის აუდიტორიას და აიძულებდა თავის მოწინააღმდეგებს, რომ მოესმინათ.

ყველფერი ეს მართალია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მე მგონია, რომ ის აღტაცება, ენტუზიაზმი და ხალხური, რომელსაც ის იწვევდა მასებში და ყოველ ადამიანში, გამოწვეული იყო უმთავრესათ მისი პიროვნების ხარიზმატიული ბუნებით, და აქედან გამომდინარე სითბოთი, მომხიბვლელობით და მაგნეტიზმით.

ყველა გრძნობდა კაკი წერეთელში დიდ მორალურ ძალას, ღრმა გულწრფელობას, სიწმინდეს, სულის კეთილშობილებას, ყველა გრძნობდა, რომ ის დარწმუნებული იყო, რომ რასაც ის ამბობდა — იყო მართალი.

ასეთ მორალურ ძალას და მოახიბვლელ ბუნებას — ვერ უჩერდებოდენ მისი უარესი მტრებიც კი.

თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ 1918 წლის დასაწყისში, დამფუძნებელი კრების გარეკის შემდეგ, როდესაც აღვირახსნილი ბოლშევიკი სალდათები მხეცურად ჰკლავდენ პოლიტიკურ მოღვაწეებს; მოიგონეთ შინგარიოვი და კოკოშკინი. ლენინმა მიუგზავნა ენუქიძე წერეთელს, რომ მისთვის გადაეცა: „აქ ნუ დარჩები, მე ვერ შევძლებ გარანტიის მოცემას, რომ აქ შენ ცოცხალი დარჩები...“

უკანასკნელი წლები კაკი წერეთელმა ამერიკაში გაატარა. უკვე ავადმყოფი, ის ამზადებდა თავის მემუარებს, რომელიც როგორც იცით, მის სიკვდილის შემდეგ გამოიცა. ამერიკელი ისტორიკოსები, აგრეთვე სხვები, ახასიათებენ ამ მემუარებს, როგორც მონუმენტალურ შრომას, რომელიც გასაოცარი მიუდგომლობით სინათლეს ჰფენს ისტორიულ ფაქტებს.

მისი ცხოვრება თან და თან უახლოვდებოდა თავის ბოლოს.

ემიგრაციაში ყოფნა — მძიმე უღელია პოლიტიკურ მოღვაწეებისათვის. კაკი წერეთელი, თუმცა ამას არავის უჩვენებდა, გულისტკივილით განიცდიდა ემიგრაციაში ცხოვრებას, თავის ქვეყანას მოშორებული.

მისი ნაშრომი, მისი საქმე ბარბაროსთა ხელებმა დაანგრიეს. და თუ თავის ბედს კაკი მწუხარებით განიცდიდა, მისგან ჩივილს ვერავინ გაიგონებდა, იმედი და რწმენა უკეთეს მომავალზე არ დაუკარგავს. მან იცოდა, რომ მისი თავგანწირული მოღვაწეობა, მისი ტანჯვა, მისი ბრძოლა კაცობრიობის მაღალ იდეალებისათვის ამოოთ არ გაიელიდა. მას სწამდა რომ მოვიდოდა დღე,თუ მალე არა. ნამდვილათ, როდესაც თვისუფლება აღდგებოდა, როგორც ბრწყინვალე მზე ხანგრძლივ ღამის შემდეგ და გაუთბობდა გულს, ბოლშევიკურ ტირანიის მიერ დაჩაგრულ ერებს, მაშინ ეს ერები მოიგონებენ 1917 წლის რევოლუციის გმირებს და მათ შორის უწინარეს ყოვლისა მის დიდ ლიდერს კაკი წერეთელს.

ამ დღეს მადლიერი ქართველი ერი აქ დამარხულ მის ნაშთს გადაიტანს მის სამშობლოში, რომელიც მას ასე უყვარდა და რომელსაც ის ასე თავდადებით ემსახურებოდა.

მ. ხუნდაძე

საქ. მართმადიდ. ეკლესიის მდგომარეობა

(დასაწყისი მე-2 გვ.)

არამედ ძალიან შემოკლებულად. გასამრჯელოს მოითხოვენ დაწესებულზე მეტს და სხვა.ყოველივე ამის შედეგად მორწმუნეთა რიცხვი ეკლესიებში ძლიერ შემცირებულა და 1500 მომქმედ ეკლესიის მაგივრად, დღეს მხოლოდ 44-ში წარმოებს წირვა-ლოცვა. აქედან თბილისში წირავს 6 ქართული და 5 რუსული ეკლესია.

დოკუმენტში შენიშნული წინააღმდეგობანი.

აღნიშნულ დოკუმენტში ადგილი აქვს ზოგიერთ წინააღმდეგობებს. მაგალითად, ერთგან ნათქვამია: ეფრემ მეორემ ბ. კერატიშვილი დაიახლოვა, რომ ის გამოეყენებია მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის, მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის წინააღმდეგ, რომლის დიდი ავტორიტეტი მას მოსვენებას არ აძლევდა. მეორეგან, ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეფრემ მეორეს განზრახვა ჰქონდა და წერილობით ანდერძში კიდევაც ასახელებდა თავის მემკვიდრეთ იგივე მიტროპოლიტ ი. შიოლაშვილს, რისი უფლებაც მას არ ქონდა, აეკლესიო შინაგანაწესის მიხედვით, საქართველოს კათალიკოს- პატრიარქს უფლება არა აქვს თავის მემკვიდრის კანდიდატურის დასახელების.

დოკუმენტის მიხედვით, ეფრემ მეორემ დიდი მფარველობა გაუწია ბიძინა კერატიშვილს. სასულიერო სემინარიიდან გამოძევებული, ჯერ დანიშნა საპატრიარქოს უმცროს მდივნად. შემდეგ დიაკვნად და სულ მალე მღვდლადაც აკურთხა. კერატიშვილს აბარია საპატრიარქოს ზედამხედველობა, რაც თავისთავად ეფრემ მეორის დიდ ნდობას მოასწავებს. ამავე დროს, იმავე დოკუმენტის მიხედვით, ეფრემ მეორეს, ულირს ღვთის მსახურად მიაჩნია ბ. კერატიშვილი, წინააღმდეგია მისი ეპისკოპოზად კურთხევის და მხოლოდ კერატიშვილის მუქარა და შანტაჟი აიძულებს მას ეს მოიქმედოს. დოკუმენტში საპატრიარქოს გაძარცვა და ანდერძის გამოცვლა მოხსენებულია. ზოგან ეფრემ მეორის სიკვდილის წინ, ზოგან მისი სიკვდილის შემდეგ. მცხეთის სასულიერო სემინარიის აბიტურიენტების შერჩევა თითქოს ხდება სახელმწიფო პოლიციის და საკულტო რწმუნებულის მიერ.„მაშ როგორ მოხდა, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ხ. დევდარიანის, და ამიტომ დაშვებულნი არ იქნენ სინოდის სხდომაზე? ასევე, მეტი რომ არ ვთქვათ, საეჭვოა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მოხელე, გამომძიებელი დ. ქორიძე დაინტერესებული იყოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მორალური და სარწმუნოებრივი სიწმიდის დაცვაში და რომ იგი შეშფოთებული იყოს მისი დამოუკიდებელი არსებობის დაკარგვის პერსპექტივით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აწგანსვენებულ პატრიარქ ეფრემ მეორის მიმართ წაყენებული უხამსი ბრალდებები რამდენადაც ემიგრაცია მას იცნობდა, წარმოუდგენელია და ჩვენ მის საფუძვლიანობას ვერ გავიზიარებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი შეხედულება

მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობებისა და ზოგიერთი შეუსაბამობისა, დოკუმენტი დიდად მნიშვნელოვანია და მოითხოვს სერიოზულ შესწავლას ახალ-ახალი მასალების სინათლეზე. ერთი ცხადია: საქართველოს ეკლესია იმყოფება დიდ საფრთხეში. მტერმა — სახელმწიფომ შეძლო მის რიგებში თავისი აგენტების შეპარება, ეკლესიის შინაგანი გარხწნის მიზნით. შორიდან, დღეს ჩვენთვის შეუძლებელია შეუცდომლად ვთქვათ, რომელია ჭეშმარიტი ღვთის მსახური და რომელი ცხვრის ქურქში გახვეული მგელი. „ქურდმა ერთი ცოდვა ქნა დამბრალებელმა ათასიო“. ამ ბრძნული ანდაზით უნდა ვიხელმძღვანელოთ და აჩქარებულ მსჯავრს მოვერიდოთ.

ბორბოტმოქმედნი არიან დასახელებულნი, ბრალდებები ცხადნი და განაპიროვნებულნი, ბრალდებები და მოწმეები ცნობილნი, ამიტომ ამ ბნელ საქმეს, რომ ნათელი მოეფინოს, საჭიროა შეწყდეს პოლიციის დევნა და შევიწროება ამ საქმის მოწმეების მიმართ, და საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში შექმნილ სპეციალურ კომისიას შეექმნას, უსაშიშრო მდგომარეობა მთელი ამ საქმის გამოძიების განმავლობაში.

რაც მთავარია, საჭიროა მთელი ქართველობის მობილიზაცია. ყველა ქართველს კარგად უნდა ესმოდეს, რომ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ამჟამად, ერთადერთი ეროვნული დაწესებულებაა, რომელიც ქართველი ერის თვითხელმწიფებას განაპირობებს, სწორედ ამიტომ ჩვენი დამპყრობლების ყურადღება მიპყრობილია მის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ, მთელი ქართველობა უნდა აღსდგეს, როგორც ერთი კაცი მის დასაცავად. არ მისცეს მტერს ნება, არც მისი ფიზიკურად მოსპობის და არც მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის, ყველა აქედან გამომდინარე, მიუხედავად მძიმე ბრალდებებისა, საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის არსებულ იერარქიას და მის მეთაურს, დავით მეხუთეს უნდა გამოეცხადოს სრული ნდობა, მანამ სანამ ეკლესიის წიაღში შექმნილი სპეციალური კომისია ამ საკითხებზე თავის მსჯავრს გამოიტანდეს. თუ რომელიმე საეკლესიო პირს მიუძღვის კრიმინელური დანაშაული, სამართალმა მას პასუხი უნდა მოთხოვოს, ისე როგორც სხვა მოქალაქეს. მაგრამ არამც და არამც სახელმწიფო და მისი ორგანოები არ უნდა ჩაერიონ წმიდა საეკლესიო საქმეების მოგვარებაში.

კრასნოდარის „სასამართლო“

ა/წ. 21 სექტემბერს, გაზეთ „იზვესტია“-ში გამოქვეყნდა ბ. ბანოვის კორესპონდენცია: „საკადრისი მიეზღო“.

მეორე დღეს, იგივე ტექსტი გადაბეჭდა ქართულმა გაზეთმა „კომუნისტმა“, ხოლო გაზეთმა „სამშობლომ“ ის გვამცნო თავის ოქტომბრის თვის ნომერში. ამრიგად, რუსეთის სამხედრო „სასამართლომ“, კრასნოდარში, .სიკვდილით დასაჯა ქართველი კაცი და საქართველოს პრესამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ერთი წარმომადგენელიც კი არ მიავლინეს პროცესზე დასასწრებლად. სიკვდილის განაჩენს კი ვინმე რუს ბანოვთან ერთად დიდი გამარჯვებული პათოსით გვამცნობენ: „საკადრისი მიეზღოო“. ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი მოვლენა: ამ სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ მსოფლიოში ხმა არავის ეუმაღლებია.

უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ, მხოლოდ კომუნისტები და ებრაელები სარგებლობენ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მფარველობით, დანარჩენი ადამიანების არც სიცოცხლე და არც სიკვდილი არავის არ აინტერესებს.

„საკადრისი მიეზღოო“, ამის დამწერი გაზეთი .სამშობლო“ დაუღალავად „დაგვეძებს“, „გვკითხულობს“, ჩვენზე „ზრუნავს“ და ჩვენს დედა-სამშობლოში მიგვიხმობს. თუ დღემდე ვინმეს ეჭვი ებადებოდა, იმედი მაქვს, ეს მაგალითი თვალებს აუხელს და გიორგი ცინარაძის მსგავს შეცდომას აღარ ჩაიდენს.

გიორგი ცინარაძე არასოდეს თვალით არ მინახავს, არ ვიცი რა კაცია, იქნებ მართლა კრიმინელიც იყოს. მაგრამ ბ. ბანოვის მოთხრობილიდან ეს დამაჯერებელი არ არის. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ის ნამდვილად გიორგი ცინარაძეა, საბჭოთა მოქალაქე, „აინზატცგრუპად„ წოდებული გერმანული ნაწილის ჯარისკაცი. ამ ნაწილმა ვითომ სამი ათასი მცხოვრები მოსპო ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ არც ერთი მოწმე არ ჩანს პროცესზე. რომელიც ბრალს დებდეს გ. ცინარაძეს პირადად ვინმეს მკვლელობაში. კრასნოდარის „სასამართლოს“ ბრალდება გერმანელების მიმართ კიდევაც რომ მართალი იყოს, გ. ცინარაძეს, უბრალო ჯარისკაცს არ შეიძლება მოეთხოვოს სამი ათასი ადამიანის მოსპობა, რადგანაც არც გადაწყვეტილება, არც ბრძანება მისგან არ გამომდინარეობს. კრასნოდარის „ამხანაგ მოსამართლეებს“ იქნებ ჰგონიათ, რომ სამხედრო ტყვეებს ჰიტლერი, ჯერ აგარაკებზე აგზავნიდა, შემდეგ თავზე ხელს გადაუსვამდა და ჰკითხავდა: „სად გნებავთ სამხედრო სამსახური გათაყვათ? აირჩიეთ ნაწილი!“ თვეობით შიმშილისაგან დაოსებული და გამოლენჩრბული ადამიანები ლუკა-პურისათვის სადაც გინდათ წავიდოდნენ და მიდიოდნენ კიდევაც იქ სადაც მას შესთავაზებდნენ. 32 წლის შემდეგ დასაშვებია სასამართლომ ამისათვის სიკვდილით დასაჯოს?

ის ფაქტი, რომ გაერმანელების ერთ ასეულს 3 ათასი მოსახლე ამოწყვიტოს, საეჭვოდ მიმაჩნია. გერმანელები ცოტა ხნით დარჩნენ ჩრდილო კავკასიაში. მოსახლეობა სიმპატიით შეხვდა მათ და არა მტრულად. მაშ რისთვის უნდა ამოეხოცათ? სამაგიეროდ, ამ სიმპატიებისათვის გამარჯვებულმა რუსებმა, მასიურად ამოწყვიტეს ან გადაასახლეს მშობლიურ ადგილებიდან: ყარაჩაიელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და ყირიმის თათრები. ამ ხალხების გადარჩენილი ელემენტები ამჟამადაც შორეულ გადასახლებაში იმყოფებიან და სტალინის დღევანდელი მემკვიდრეები მათ სამშობლოში დაბრუნებაზე უარს ეუბნებიან. 1942 წელში, როცა ჩრდილო კავკასიაში გერმანელი ჯარები წინ მიიწევდნენ და ჩეკისტები ევაკუაციას, რომ ვეღარ ასწრებდნენ, თავიანთ საჯრებში აფეთქებდნენ პოლიტიკურ პატიმრებს. სიმართლესთან ახლოს ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ დღეს ეს ნამდვილი კრიმინელები თავიანთ დანაშაულობებს აბრალებენ ცინარაძეებს, ელიზბარაშვილებს და სხვებს, რომლებმაც თუ კი რაიმე სიგლახე ჩაიდინეს, ამის პასუხისმგებლობა უნდა მოეკითხოს ნაცისტურ და საბჭოთა რეჟიმებს და არა პირადად მათ.

საინტერესოა, რომ კრასნოდარის „მოსამართლეები“ გ. ცინარაძეს უწოდებენ „სამშობლოს მოღალატეს“. რომელი სამშობლოსი, ბატონო „მოსამართლენო?“ ქართველი კაცის სამშობლო მხოლოდ საქართველოა, ეს სამშობლო ვერაგულად დაიპყრო საბ. რუსეთმა. ამ დღიდან მოყოლებული საბ. სახელმწიფოს ენება, მისთვის ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობა, არის არა სამშობლოს მოღალატეობა, არამედ ჭეშმარიტი პატრიოტობა. იმპერიალისტ რუსებს, რომლებიც ამ პატრიოტებს მკაცრად უსწორდებიან, არავითარი უფლება არ აქვთ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო დაწესებულების სახელით გაამართლონ თავიანთი პოლიტიკური მკვლელობები..

გ. წერეთელი

უკიდეგანო ტკუილები და სინამდვილე

გაზეთ „სამშობლოს“ ა/წ. აგვისტოს ნომერში პირველი გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს ხელმოუწერელ სტატიას „ბარაქა შენს მარჯვენას, მშენებელო!“ წერილი თავიდანვე საბჭოთა ჟურნალიზმისათვის ჩვეული პარტიისა და მთავრობის თაყვანებით იწყება:

„აშენდეს ქალაქი, აშენდეს სოფელი! — დირექტივად ბრძანა პარტიამ“.

„ნათელი და ფართო, კეთილმოწყობილი ბინა ადამიანს სამზარეულოთი, აბაზანით, ცხელი წყლით, გათბობით, ლამაზი აივნით, მკვრივით, თანაც უფასოდ! .“

„პარტიამ ბრძანა, კანონად დათქვა კაცის სიკეთე, შრომის დიდება, ბავშვის ლხენა და მოხუცის პატივისცემა. პარტიის სიტყვა კანონი იყო, კანონი არის და კვლავ კანონი იქნება მარად.“ (კარბელაშვილის გონებრივი ავლადიდების შესამოწმებლად ეს ნაწყვეტიც საკმარისია.) შემდეგ კი ის ცდილობს გვაჩვენოს ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებსაც ადგილი აქვს, დღევანდელ საქართველოში საერთოდ და კერძოთ დედა-ქალაქ თბილისში, საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის დარგში. დასაბუთება, რომ უფრო თვალსაჩინო გახადოს 4 შენობის სურათსაც გვთავაზობს, აქედან მხოლოდ ორია დამთავრებული (ამ რკინა-ბეტონის უსულგულო კუბებზე და მის შინაგან „კეთილმოწყობილობაზე“ ნუ ვილაპარაკებთ), მესამე — შენების პროცესშია, ხოლო მეოთხის მშენებლობა მომავალში დაიწყებაო. როდის დაიწყებაო როდი გვიმხელს წინდახედული კორესპონდენტი. შემდეგ მთავარ სამმათველოდან მიღებულ ციფრებს გვთავაზობს. თუ „სამშობლოს“ დაუჯერებთ სტატისტიკის სამმართველოში ცნობები არ ჰქონიათ 1921 წლის შესახებ, არც შემდეგ 1926 წლამდე. 1926 წლის ცნობაც არა სრულია და მხოლოდ 1959 წლის და 1973 წლის ცნობები შეიძლება მივიღოთ დამაკმაყოფილებლად, რადგანაც სხვა, მიუდგომელი ცნობები არ გაგვაჩნია. ამ ცნობების მიხედვით: საქართველოში საცხოვრებელი ფართობი ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში სულ ყოფილა:

1959 წელს 11.840 ათასი კვ. მეტრი.
1973 წლის ბოლოს 21.326 კვ. მეტრი.

ქ. თბილისისათვის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

1926 წელს 2.056 ათასი კვ. მეტი.
1959 წელს 4.446 ათასი კვ. მეტრი.
1973 წლის ბოლოს 7.813 ათასი კვ. მეტრი.

აქედან, გაზეთ „სამშობლოს“ გამოყავს დასკვნა, რომ 1959 წლიდან 1973 წლის ბოლომდე, ძალიან დიდი რაოდენობის საცხოვრებელი ბინები იქნა აშენებული და რომ ამჟამად მოსახლეობა ბინებით უზრუნველყოფილია. ჩვენც ერთი შეხედვით შეიძლება შეცდომაში შევიდეთ, თუ კარგად არ გავითვალისწინეთ ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში.

ჩვენს განმანათლებელ „სამშობლოს“ კორესპონდენტს, რომ ცოტა თავი შეეწუხებია და სინდისიერება გამოეჩინა სტატისტიკურ ცნობების გაანალიზების შემდეგ, დაახლოებით ასეთი ცნობები უნდა მოეცა: 1926 წელს, თბილისში სულ იყო 2.056 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ დროს იქ ცხოვრობდა 294 ათასი სული, მაშასადამე ერთ სულზე თბილისში ამ დროს მოდიოდა 7 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი. 1959 წელს, 4.446 ათას კვ. მეტრზე ცხოვრობდა 703 ათასი სული, მაშასადამე 6,3 კვ მეტრი ფართი თითო სულზე. 1974 წლის იანვრისათვის თბილისში სულ 7.813 ათ. კვ. საცხოვრებელი ფართობია, მაგრამ იქ ცხოვრობს თითქმის ერთი მილიონი ადამიანი და სულზე მოდის 8 კვ. მეტრზე ცოტა ნაკლები ფართი. საცხოვრებელი ბინის უფრო მკვეთრი ნაკლებობა გვაქვს საქართველოს სხვა ქალაქებში და ამ წლის დასაწყისისათვის საშუალო საცხოვრებელი ფართი არ აღემატება 7,2 დან 7,5 მეტრს.

აქედან ცხადია რომ საქართველოს დაპყრობიდან — 1921 წლიდან მოყოლებული 1959 წლამდე, თბილისში და მთელ საქართველოში საცხოვრებელი ბინების საქმე მკვეთრად უარესდება, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ომის დროს საქართველოს ქალაქები არ დანგრეულან და1959 წელში, ომის დამთავრებიდან 14 წელი გავიდა.

1959 წლიდან მშენებლობის ტემპი ცოტა გამოცოცხლებულა, 1973 წლისთვის საქართველოს მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინის ფართი ოდნავ გაუმჯობესებულა, მაგრამ„ „სამშობლოს“ გაუჭირდება მისი მკითხველები დაარწმუნოს, რომ 7—8 კვ. მეტრ ფართობზე: „ნათელი, ფართო, კეთილად მოწყობილი ბინა, სამზარეულოთი, აბაზანით, აივნით ლამაზით, და სხვა“ შესაძლებელი იყოს.

საცხოვრებელი ბინის საკითხში საქართველოს მშრომელების უნუგეშო მდგომარეობის საცნაურებლად საჭირო არ არის სტატისტიკის სამმართველოში წასვლა, სხვა გზა რომ არ იყოს სიმართლის გაგების, საქართველოს ადგილობრივი პრესაც იძულებულია ამაზე წეროს და აი მრავალთა შორის ორი დამახასიათებელი მაგალითი:

*

—„**ვარაზისხევი** 172“. 1974 წლის 29 ივნისის გაზეთ „კომუნისტში“ ამ სათაურით მოთხრობილია საქ. უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს მიერ გარჩეული ერთი სამინაო საამშენებლო კოოპერატივის წევრ პირთა ჯგუფის, სახელმწიფო ორგანიზაციების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის ზოგიერთი მუშაკის ბრალდების შესახებ. მთავარი დამნაშავეებია კოოპერატივ „ვარაზისხევი 172“-ის თავმჯდომარე კოღუა და მისი თანაშემწე ყალიჩავა. ეს ვაჟბატონები კოოპერატივის წევრობისათვის დიდ ქრთამებს ღებულობდენ. ამრიგად თეგზაძეს მათთვის მიუცია 6 ათასი მანეთი, ხოლო ჭანუყვაძეს 8 ათასი მ. ასევე დიდ გასამრჯელოს ღებულობდენ **საგარანტიო** ხელშეკრულებათა გაცემით. მაგალთად, კაციაშვილს მათთვის ქრთამად მიუცია 8 ათასი მანეთი ოთხ ოთახიან ბინის მისაღებად. 8 ათასი მანეთი გახლავსთ, საბჭოთა კავშირის საშუალო მუშის და მოსამსახურის 80 თვის ჯამაგირი. ასეთი თანხა, რომ კაცმა 4 ოთახიან ბინის მისაღებად, ქრთამათ მისცეს, ნაპოვნიც რომ ჰქონდეს ეს ფული, მაინც მაჩვენებელია საცხოვრებელი ბინის დიდი კრიზისის.

ამრიგად, გაიძვერა კოღუამ და ყალჩილავამ, წლების განმავლობაში რამოდენიმე ასეული ათასი მანეთი გააკე-

თეს. რა თქმა უნდა, ისინი მარტო არ მოქმედობდენ, და უზარმაზარ შემოსავლიდან თავის მხრივ ქრთამავდენ მშენებელ ინჟინრებს, დებუტატებს და აღმასკომის პასუხისმგებელ „მუშაკებს.“ ყალიჩავას უნახეს და ჩამოართვეს ფული, ოქრო, ვერცხლი და 300 ათასი მანეთზე მეტი ღირებულობის სხვადასხვა ძვირფასეულობა.

*

„არამი ლუკმა“. ა/წ. 29 სექტემბრის „კომუნისტში“ ამ სათაურით მოთავსებულია გიორგი პაპაშვილის ფელეტონი. პედიატრიის სამეცნიერო -- საკვლევ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ ზაქარაიძე 6 წლის წინ ცოლს გაყრია და სასამართლოს მისთვის წილად ერთი ოთახი მიუკუთნებია. გასაგებია, ექიმი ერთ პატარა ოთახს არ დაჯერებია, ბევრი უხლაფორთია ორ ოთახიანი ბინის საშოვნელად და ბოლოს ასეთ რთულ კომბინაციისათვის მიუმართავს: თავდაპირველად აღმოუჩენია ისეთი წყვილი, რომელსაც ორ ოთახიანი ბინა აქვს და სურს თითო ოთახიანი ორი ბინის შოვნა. შემდეგ, გამოუნახავს ერთ ოთახიანი ხნიერი და ავადმყოფი მანდილოსანი, გვარად ლოლაძე და როგორც შორებელი ნათესავი თავის მზურვნელობის ქვეშ აუყვანია. ქ-ნ ლევიტინა ლოლაძის და საკუთარი ოთახები, ზემოდ თქმულ ორ ოთახიან ბინაში გაუცვლია. ოთხი თვის შემდეგ, ლ. ლოლაძე მეცნიერების კანდიდატის რევაზ ზაქარაიძის ბინიდან ამოწერილა და... თავისი ქმრის გ. გ. ლოლაძის ბინაზე ჩაწერილა. დიახ, თურმე, ქ-ნი ლევიტინა 18 წელია, რაც კანონიერი ცოლი ყოფილა გიორგი გიორგის ძე ლოლაძის. ამ ხნის განმავლობაში ცოლ-ქმარს, თითოს თითო ოთახიანი ბინა აქვთ და იძულებული არიან ან ცალცალკე იცხოვრონ, ან ერთ-ერთი ბინა დაკარგონ. სწორედ ბედათ მოხერხებული ექიმი ზაქარიაძე გამოჩენილა და როგორც მათი, ისე საკუთარი საქმეც კეთილად მოუგვარებია, მაგრამ ჩანს ეშმაკს არ ეძინა, — გიორგი პაპაშვილის სახით — ყველაფერი გამოჩხრიკა, „კომუნისტში“ ფელეტონი მოათავსა და ალბათ, მთელი სამი ოჯახის ბედნიერება ხიფათში ჩააგდო.

დ ა ს კ ვ ნ ა .

განა შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რომ ჩვენი სამშობლოს ქონებრივი გაძლიერება, მისი სასოფლო და საქალაქო მეურნეობის წინსვლა და წარმატება, ქართველი ხალხის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, ჩვენ, მის სისხლთა და ხორცთ — სიამით აღგვავსებდა და ბედნიერებას მოგვანიჭებდა? მაგრამ სავალალოდ ჩვენი ერისა, ამ 53 წლის განმავლობაში, წინააღმდეგ გაზეთ „სამშობლოს“ უკიდეგანო ტყუილებისა, ძალიან ცოტა სიმდიდრე იქმნება და ამიტომ გარდა მცირერიცხოვან პრივილეგიურ პირებისა და კოღუა, ყალიჩავას მსგავსი არამზადებისა, ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა — პატიოსანი მშრომელები—ცხოვრობს დიდ გაჭირვებაში. სურსათ-სანოვაგის სინაკლულე, საცხოვრებელი ბინის სივიწროვე, ბალ-ბალ ავეჯის, ტანის და ფეხის სამოსის, პირადი აუცილებელი მოთხოვნილების საგნების გაიშვიათება, შავი ბაზარი და სპეკულიაცია, საბჭოთა რეჟიმის თანდაყოლილი და მუდმივი თვისებაა, ლენინის ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჭეშმარიტი ნაყოფია. ამ იდეოლოგიისა და პოლიტიკის წყალობით საბჭოთა ხალხს, პატიოსანი შრომისაკენ მიმავალი კარები დახშული აქვთ, ამიტომ იძულებული არიან დასაძრახის კარებს მიაშურონ. სიზარმაცე, სიმულიანტობა, მომხვეჭელობა, სპეკულიაცია, მექრთამეობა, საზოგადოებრივი ქონების მისაკუთრება და სხვა მანკიერებანი, ზემოდ თქმულის ბუნებრივი შედეგებია და საბჭოთა რეჟიმის განუშორებელი ატრიბუტი.

სიმდიდრეს ქმნის მხოლოდ პატიოსანი შრომა. ყველა ჭეშმარიტ ხელისუფლის ვალია პატიოსანი შრომისათვის შექმნას სათანადო პირობები. ასეთი არ არის საბჭოთა ხელისუფლების ნება-სურვილი, ამიტომ ვერც გაზეთ „სამშობლოს“ ხოტბა-დიდება, ვერც სხვა საბჭოთა პროპაგანდის გამუდმებული კვილ-წივილი ქვეყანას ვერ გაამდიდრებს, საქართველოს სოფლებს და ქალაქებს წალკოტებად ვერ აქცევს.

მამგალი.

„ქართული“ თუ „დარბაისლური“

დიდის აღფრთოვანებით, ეხმაურება **საბჭოთა პრესა,** ლადო სუხიშვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, **რომელმაც** ცეკვა „ლეკურს“ უწოდა „ქართული“. აქებენ მის პატრიოტობას და სხვ. ამ აზრს მგონი ზოგიერთი **ეშიგრანტიც** იზიარებს. მე კი მგონია ამით სუხიშვილს ახალი არაფერი მოუგონია და უცხო მაყურებლების თვალში კი შეიძლება გაუგებრობა დაჰბადოს ქართული ხალხური ცეკვებია შესახებ, რადგანაც ქართული ცეკვები მარტო ამ ერთი ცეკვით არ ამოიწურება.

უხსოვარი დროიდან, ბუნებით მხიარულ და მკვირცხლ ერს, როგორინც ქართველები იყვნენ, ჰქონდათ სხვა და სხვა სუფთა ეროვნული ცეკვები. მრავალი მათგანი შეგვრჩა დღევანდლამდის. მაგალითად: „დავლური“, „ჩაკრულა“, „ცერული“, „ფერხული“, „მთიულური „ბაღდადური“ და სუხიშვილის მიერ ახლად გადმოცალული ცეკვა „ქართული“. ეს უკანასკნელი არის მეტად გავრცელებული საქართველოში, ქალ-ვაჟთა იშვიათი სილამაზის ცეკვა: დინჯი, ჰარმონიული, უაღრესად ზრდილი და თავდაჭერილი. ერთი სიტყვით: „დარბაისლური“. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალი ბობოთელი.

დავიცვათ ქართული !

სიმდრიდით განუსაზღვრელი,
სიღრმითა განუზომელი,
ბასრ ხმალზე უფრო გამჭრელი,
ქართულის თუ ხარ მცოდნელი.
უცნობი ავტორი.

ბრძნულსა და შარავანდედით მოცულ ასოებისგან ვადგენთ ქართულ სიტყვას,რომელიც ჩვენი მოქმედების ლანდია. სიტყვების სათანადო წყობით ვადგენთ წინადადებას. სიტყვას უნდა ცოდნა! თუ რომ სიტყვის ცოდნა გვაქვს, ვიცით სიტყვის ხმარება. ამასთან ერთად, ქართული სიტყვა უნდა გვიყვარდეს და უნდა ვიცოდეთ რაში გამოიხატება მისდამი პატივისცემა. თუ რომ ზემორე ნათქვამის შეგნება გვაქვს, ვიცით სად დავსვათ სათანადო სიტყვა. ბაასში, პრაერთხელ დაუშვებთხოლმე შეცდომას, მაგრამ გასწორების დრო არ გვაქვს, შეცდომას გადავიტანებითხოლმე და მასლაათი მიდის, გრძელდება, მაგრამ მწერლობაში ეს არის დაუშვებელი! უპირველეს ყოვლისა, სიტყვა უნდა იყოს ქართული, ხოლო შედგენილი წინადადება უნდა იყოს გრამატიკულად კანონიერი და უნდა იყოს სიტყვაშერწყული. სამწუხაროდ დღეს ბევრი ვინმე „ჯღაბნის“ და არ ესმის, რომ წერა იმიტომ კი არ არის საჭირო რომ მწერალი გახდე! ოდეს ვინმე კალამს იღებს ხელში, უნდა იცოდეს თუ რა აქვს სათქმელი და რაზე სურს წერა. წერის დროს უნდა ახსოვდეს, რომ სიტყვის გაიოლება დაუშვებელია, ხოლო რაც უმთავრესია, ნაწერი სიტყვა უნდა იყოს ყველასათვის გასაგები. ვინც რომ იცის მხოლოდ ქართული. ვისაც ყოველივე ეს სათანადოდ არ ესმის და ვერ შეუგნია, კალამს ხელს ნუ ახლებს. რადგან სიტყვა ქართული, ჩვენ დიდებულ წინაპართ ენა, მიწაზე ბოჩივით არ დაღოღავს და არც ბატივით დაბაჯბაჯებს. ქართული სიტყვა ცის კამარას მფრინავია და ცის კონქს ისე წვდება, როგორც ჩვენი მთების არწივი. ხან შევარდნივით მკვირცხლია და ზეცაში ფარფაშობს, ხან ცის ჭაღზე დაკიდებულ შუქურასავით ანათებს.

მშობლიური სიტყვა ჩვენ სისხლშია შედუღებული და სისხლთან ერთად ჩქეფს ჩვენ ძარღვებში, რაც ქართველის ტვიფარია და მისი ეროვნების საბუთი. დაულეველია ქართული ენის სალარო, მაგრამ როგორც ეხლა ჩანს, დღევანდელ გონჯსა და კადნიერ მჯღაბნელებს სალარო დაცლიათ, რადგან მარგალიტის გამოყენებას შნო და უნარი ჭირდება, რატომაც ურჩევნიათ წერაში „აჯაფსანდალი“ იხმარონ.

ამ ვაჟბატონებმა იციან მხოლოდ ქართული ანბანი, ხოლო არ იციან ქართული სიტყვა და მისი წყობა. რომაელ რაც რომ ენაზე მოადგება და ვერ გაუგია, რომ მისი რომშვა კუპრინის „დვოინოი ხლუსტია“, ე. ი. არც ესმის რამ ვინც დაწერა და არც მკითხველმა იცის დამწერის ბოდვა.

ძნელია მოიძებნოს წიგნი ახლად შეთხზული საცა ჩვენი ენა არ იყოს წაპილწული. დამცირდა ჩვენი მდიდარი და დაულეველი სიტყვარი. ყოველ დღე ვხედავთ სიტყ-

---

„ქართული“ თუ „დარბაისლური“.

საძლებელია, სწორედ სამეფო დარბაზში ცეკვამდენ თავიდან ამ ცეკვას და შემდეგ გადაიქცა ის საყოველთაო ეროვნულ ცეკვად. რა თქმა უნდა, ამ ცეკვას არაჟერი აქვს საერთო ლეკების ცეკვასთან. ლეკები, მხოლოდ მამაკაცები ცეკვავენ სოლოდ, მათი ცეკვა უფრო ხტომაა და ყიჟინა, რაც წარმოუდგენელია ქართული „დარბაისლური“ ცეკვისათვის. სახელწოდება „ლეკური“ ამ ცეკვას ალბათ გვიან დაერქვა რუსულიდან (ლეზგინკა-ს) თარგმნის შედეგად, უეჭველად მას შემდეგ, რაც რუსებმა დაიპყრეს კავკასია.

დღეს, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ ცეკვას ჩამოცილდეს შეუფერებელი სახელი და დაერქვას ახალი, მაგრამ არა „ქართული“, რადგანაც, როცა ჩვენი ცეკვის ანსამბლები უცხოეთის სცენებზე გამოდიან და მათ პროგრამაში არის ძხოლოდ ერთი ცეკვა, რომელსაც ჰქვია „ქართული“ არ შეიძლება გაუგებრობა არ დაბადოს უცოდინარ, უცხო მაყურებელში, ამიტომ თუ გსურთ გამოიჩინოთ ქართული ცეკვების გულშემატკივრობა, და თუ გნებავთ პატრიოტიზმიც, მოაცილეთ მას უცხო სიტყვა „ლეზგინკა“ და უწოდეთ მისი პირველყოფილი სახელი „დარბაისლური“.

მინდა მოგაგონოთ, რომ ამ ოციოდე წლის წინად, პარიზში, ბ-ნმა შოთა აბაშიძემ ადგილბრივ ახალგაზრდა ქართველებით გამართა ქართული ცეკვების საღამო. დიდი შრომა დასჭირდა მას ნორჩ, საქართველოს უცნობ, ქართველების გაწრთვნაზე, მაგრამ შეასრულა სუფთად და მშვენივრად, და მაშინ ქულაჯებში და ქართულ კაბებში ვამოწყობილმა ახალგაზრდებმა შეასრულეს მთელი თავისი სილამაზით ცეკვა, დღეს „ქართულად“ წოდებული. ამ ცეკვას შოთა აბაშიძემ უწოდა ძალიან სწორად და საღად „დარბაისლური“. შ. აბაშიძე მცოდნე და დიდი ოსტატია ქართული ცეკვების, მან არა ერთ უცხოეთში დაბადებულ ქართველ ახალგაზრდას ცეკვით ჩაუნერგა მათი ქვეყნის სიყვარული. მე მგონია მან პირველმა აღადგინა ნამდვილი სახელი ჩვენი სახელოვანი ცეკვის — „დარბაისლურის“. იგი ღირსია მადლობის.

ელ. მაყაშვილი.
1972 წ. მონპელიე.

ვების გარიცხვას და მათ ადგილზე მტრის ენაზე სიტყვებით შეცვლას. თქმული და ნაწერი სიტყვა ერთგვაროვად არის წაბილწული. ქართული ენა ჰკარგავს დარბაისლობას და სიამაყეს. ჩვენი წინაპრების ენა თახსირდება და ეცემა.

მწერალი უნდა წერდეს მთელი ერისთვის სუფთა ქართულ და ყველასათვის გასაგებ ენაზე. აქ ავგოროზობა და კუდაბზიკობა როდია საჭირო! უცხო სიტყვების ხმარება არის სისულელე და პრანჭიაობა მწერლობაში. მეცნიერების აკადემიის შრომა გამოიხატება იმაში, რომ აკადემია დარაჯად უდგეს ქართული ენის სისუფთავეს, უნდა შეამოწმოს გამოცემული ქართული წიგნი და თუ წიგნი გატენილია ისეთი „რუსიციზმებით", როგორც ქართულ მეცნიერების აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი „ანთიმ ივერიელი," წიგნი არ გაუშვას ხალხში!

ამ წიგნში აწერილია ბერ-ხუცეს ანთიმის მიერ წიგნების ბეჭდვა და გამოცემა რუმინეთში. ხშირად არის ქება-დიდება ანთიმის ნიჭის. ჭკუის და მუყაითობის და სხვათაშორის სამჯერ არი გამეორებული ანთიმის სიტყვები, საცა იგი ამბობს, რომ ურჩევნია ოცი სიტყვა დაბეჭდოს ხალხის გასაგები, ვინემ ოცი ათასი ხალხისთვის გაუგებარიო და ამ აზრის ქების შემდეგ. თვით აკადემია ხმარობს ამ გვარ ენას:

მცირე ეკსკურსი, მომენტი, საუკუნის მანძილზე (?) (შენიშვნა: მანძილია ქუთაისიდან გოდოგნამდე, სოლოლაკიდან საბურთალომდე . საუკუნეს აქვს განმავლობა, რადგან ეს არის დრო! დრო გადის! მანძილია გოჯა, წყდა, მტკაველი, კილომეტრი და სხვა. რა მანძილი აქვს კვირას, თვეს, ან წელიწადს? რა სიგრძეა ველზე ერთი კვირის თუ ერთი თვის?

რელიგიური კონფლიქტი. ფორმირება, ეკსპანსიური, ფაქტორი. კონკრეტიული, ამ რანგის ადამიანი, პერიოდი, გაუანალიზებია (?), ტრადიციები, მასები, ელემენტები, ხეზე ჭრა (?) (შენიშვნა: ამ ხელობას ეწოდება — ხეში ჭრა, — ხოლო ხეზე ჭრიან ხოლმე თავიანთ სახელებს "შეყვარებულნი.)

არგუმენტი, მოტივები, ვერსია, ლავირება. პრობლემა, ნომერი, კვალიფიკური. ფუნქციონირობა, ერთობლიობა, პერიოდის მანძილზე, ასპექტი, კორექტივები, ბრძოლის ეტაპი, წიგნის დაბეჭდვის ფაქტი, ფართო პერიოდი, რეზიდენცია...

კმარა ბატონებო! ეს სიტყვებია რამდენიმე გვერდზე, ხოლო წიგნი შესდგება 346 გვერდისაგან ქართული ასოებით ნაწერი, რის შემდეგ 60 გვერდია რუსულად. აი ბატონებო! ჩვენი ენა, რომელიც ვრცელდება სამშობლოში მეცნიერების აკადემიის წყალობით! თუ ქართული აკადემია თვით პილწავს ჩვენ ენას, აღარ მიკვირს ვოლგის სიმყრალე საქართველოში.

ეხლა ავიღოთ და გადავფურცლოთ წიგნი, რომელიც შეიცავს 186 გვერდს და ეწოდება: „ქართული საბტონიო პროზა". ეს წიგნი დაუწერია ვიღაც ბარამიძეს, რომლის დამხმარენი ყოფილან: რედაქტორი ა. ჟორდანია, გარეკანის მხატვარი შ. ნიორაძე, მხატრული რედაქტორი მ. ასათიანი, ტექ. რედაქტორი ჭყოიძე, კორექტორი ნ. ახობაძე. გამომცემი დათუაშვილი. შვიდმა კაცმა დაიმუშავა 82 გვერდი წიგნის ქართული ასოებით ნაწერი, რომელიც მთლიანად არის ლოთი, არაყით გადელებული რუსის ბლოყინი და რომ თავიანთი „გრანდიოზული იდიოტიზმი" დაამშვენონ, წიგნის მეორე ნახევარი 34 გვერდი სიტყვა-სიტყვით გადაწერეს ქართლის ცხოვრებიდან. მათ სისულელის ნაწურს მეორე ნაწილი ისე უხდება, როგორც ვირს ფაფანაკი! თუმცა ნაწერია ქართულ ასოებით. ენა არ ეკუთვნის ჩვენ მიერ ხმარებულ რომელიმე ენას. ეს არის მათი საკუთარი აჯაფსანდალი. აი რამოდენიმე გვერდიდან სუნნელოვან ყვავილების თაიგული:

(გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ):

ავტორების დეტალები, პერიოდიდან პერიოდამდე, (შენიშვნა: აქ უნდა მოგახსენოთ რომ დღევანდელ ჩვენ სიტყვარში სამუდამოდ მოიკალათა და დაბინავდა — პერიოდი. — სიტყვა ყავლი და ხანა შეცვალა საზიზღარ — პერიოდმა; ბატონებო! ნუ თუ ყავლი არ სჯობია პერიოდს?).

წავიდეთ ქვევით და ვიხაროთ ბგერით!!!

ცენტრალიზაციის ინტერესები, სფეროს პრინციპოულობა, ეპოქის ასპექტის აქტუალურობა, რელიეფურობით, მაქსიმალური, პრობლემების ანალიზი, მაგისტრალური. ეპოქალური, მაშტაბი, ფოლკლორის ჟანრი, ტენდენციების პათოსი, ფაქტორების სუბიექტობა, ფუნქციური ტენდეცია, იდეის იმპულსები. ანონიმური ინსტიტუცია, სიტუაციის კონცეპცია, ლაკონიურობა, ტაფარეტული პერსონაჟი, პათეთიკური ტონი და პერიპეტიები.

მგონი საკმარისია, რომ ადამიანმა ამის წამკითხველმა წარაარწყოს. ვისთვის წერენ? ნუ თუ არ ესმით ამ გამოშიგნულ ამპარტავნებს, რომ ეს არის „პათეთიური ენთუზიაზმით ნაჯღაბნი სუპერ-კრეტინის ჟანრი", რომელიც ბრეჟნევს ახარებს? ვფიქრობ რომ საკმარისია ორი მაგალითი იმის, თუ როგორ გარყვნეს სამშობლოში ენა ახლად გამოცემულ წიგნებში.

ეხლა ავიღოთ გვიმრის ყვავილი, რომელიც თურმე ხუთ წელში ერთხელ ყვავის. ეს „ყვავილია" დიდებული გაზეთი „სამშობლო". რომლის რედაქტორია გივი კარბელაშვილი. ჩემდა საღხინოთ პირადათ არ ვიცნობ ამ თერგის წყალდალეულ ავგაროზას, მაგრამ საკმარისია „სამშობლო" წაიკითხო რომ ეს ვაჟბატონი გაიცნო. ძნელი არ არი შეფასება მისი ტვინის კროჭის. ჯერ ხვალშუბით გაილაშქრა მაზე ვინც მოაგონა, რომ გაზეთში ბევრი სიტყვა არაა ქართული. იმავე გაზეთის ფურცლებზე

დაიწყო სწავლება, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და ეს არის ლათინურიო და ყველა ხმარობსო. ამ ბრიყვსა და უბადრუკს არ ესმის რომ ლათინურში ყოველგვარი სიტყვა არი; მაშ გავაგდოთ ჩვენი ენა და მივიღოთ ლათინური! იოლია არა? ჩვენ გვჭირდება ქართული! ერთი გაზეთი გაავსო ველურ ლრიალით: ვის აქვს უფლება საქართველოზე სიტყვა თქვას? ვის აქვს უფლება ამის და ამისიო, და ვერ შეუგნია რეგვენ რადაქტორს, რომ რაც შეეხება საქართველოს, ყველას აქვს უფლება თავის აზრის გამოთქმის საქართველოს ყოველ საკითხში, ვისაც გული ტკივა და საქართველოს კუზიან ბედს დატირის და მაზე ფიქრობს. კარბელაშვილი დაკარგულებს დაეძებს და შინ ეპატიჟება! მას ჭკუა რომ ქონოდა, ჯერ გრძელ სიას ბრეკნევს წარუდგენდა თხოვნით, რომ ქართველები ციმბირიდან შინ გაეშვა და შემდეგ ვინც რომ დააკლდებოდა, სხვაგან ეძებნა. გარდა ამისა, ტუტუც რადაქტორმა უნდა იცოდეს ის რომ, ვინც აქედან საქართველოში ბრუნდება ციმბირში ჩააძღლებენ. „სამშობლოს“ შინაარსი და ენა ვერ შეედრება იმ სკოლის გაზეთს რომელსაც ჩვენ, მოსწავლეები მეორე კლასში ხელით ვწერდით. იქ მეფე არავის უქია და არც პეტერბურგს სამშობლო დედა-ქალაქად თვლიდა. გამოთაყვანებულო რედაქტორო! წერე სამადლიერო წერილი იმ თავისუფლებაზე, რომელიც ილიჩმა გიბოძა, აქე ლექსებით ილიჩის მძორი, უმღერე მოსკოვს, შენ სამშობლო დედა-ქალაქს ხოტბა შეასხი! ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქი თბილისია. აგერ მეთექვსმეტე საუკუნე გადის. შენ ტერფი ულოკე მტერს და ნურავის დაეძებ რომ ამაში გამოგაყვეს. თუ რომ „სამშობლოს“ რედაქტორს გონია რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები გონებით რედაქტორს გვანან, იგი დიდ შეცდომაში ყოფილა. როგორც ენით აგრეთვე აზროვნობით მეტად ღატაკია როგორც რედაქტორი ისე მისი თანამშრომლები. „სამშობლოს“ რედაქტორს არ ესმის რაა მისი მოვალეობა როგორც ქართველს შეეფერება და ეს არი მრავალწახნაგოვანი სიბრიყვე.

ჩვენი ბრძოლის ერთ- ერთი სახსარი და საშუალებაა სიტყვის არ დათმობა, ჩვენი ენის უმანკოების დაცვა. შურვილით მისი სიყვარული და მის დასაცავად სადარაჯოზე დგომა. ყოველი ქართველი ამაზე უნდა ფიქრობდეს და იყოს გუშაგი თავის ენის. ერი გაელეტილია. ჩვენი მიწა სისხლით არი გაჟღენთილი. მტერი ცდილობს ერთნაბეკვარ საუკუნის განმავლობაში, თუ როგორ მოსპოს საქართველო. 1801 წლიდან მისი მისწრაფებაა: „საქართველო უნდა მოისპოს.“ ეს არის მისი ოცნება.

მიუხედევთ ამისა თუ იარალით არა, ენით მაინც მძაფრ ბძოლას ეწეოდენ ჩვენი ბუმბერაზები ენის დაცვაში, როგორიც იყვენ: ი. გოგებაშვილი, ა. ყაზბეგი. აკაკი და გიორგი წერეთელი, ილია და ალექსანდრე ჭავჭავაძე. საბა-სულხან და გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, მაჩაბელი და ვაჟა ფშაველა. ქართული ენის დამცველთა სია მეტად გრძელია, მაგრამ ყველა ჩვენგანმა, ჩვენდა სასირცხოთ მათი ხსენება ჩვენ დავივიწყეთ. თუ რომ ქართულ ენამ დღემდე მოაწია, აქ მადლობა უნდა მოსთხოთ სოფლად მცხოვრებ ჩვენ გულუბრყვილო გლეხობას და ზემოხსენებულ მწერალთ შემოქმედებას.

ჩვენი სამი წლის თავისუფლების დროს დაიწყო ქართული ენის ფართოდ ხმარება და ენის გასუფთავება, მაგრამ მტერმა თავისუფლება მოგვისპო და ეხლა ცდილობს ენაც მოგვისპოს.

რუსეთმა დღეს საქართველო უცხოელებით აავსო..15.000 უკრაინელი ოჯახი გურიაში ჩაასახლა! რა ენაზე იქნება დღეს საქთველოში მათთან ბაასი? ქართველები მათ ვერ გააქართველებენ. ხოლო ეს ჩამოსახლებულები — ქართველებს გაარუსებენ. იღუპება ჩვენი ერი და შველა უნდა მას! ვინ დაიცავს მას თუ არა ჩვენ?

დავიცვათ ჩვენი ბრძოლის ასპარეზი. ქართული სიტყვის დაცვა არი ჩვენი მოგერიებითი ბრძოლის უკანასკნელი ხაზი. თუ აქედან მტერმა აგვყარა, უკან დასახევი ველი აღარ გვაქვს. მაგრამ აქ ჩვენი სანგრები მეტად მაგარია და მტერი ვერას გვავნებს. აქ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა და აქ მტრის დამარცხებაც ადვილია, თუ შეგნება გვაქვს.

ამ ასპარეზზე მტერი ვერას დაგვაკლებს, თუ რომ ბრძოლას ყველა ქართველი გავინაწილებთ! ნუ დავთმობთ ჩვენ საყვარელ სიტყვას. ყველგან საცა ქართველია იქ არი მისი ბძოლის ველი, ყოველ კუთხეში ამ ქვეყნად.

თუ ამ ბრძოლას აპუჩად ავიგდებთ, თუ რომ ამ ბრძოლას შეუნდობლად არ ვაწარმოებთ ბოლშევიკების ბატონობის ქვეშ, ერთი საუკუნეა საკმარისი რომ მტერმა ფიზიკურად გაგვანადგუროს და ჩვენ ნაშიერსაც არ ეცოდინება სად იყო კოლხიდა და ივერია.

გავა დრო და მკლევარი ნახავს მიდამოს, რომელ წალკოტის ზეცაზე წაიკითხავს: „ეს არი ადგილი სადაც იყო საქართველო!“

ჩემი გოდება არა ცმარა, ჩავებათ ყველა ბრძოლაში!

ვიტალი ბობოთელი.

---

† **გიორგი კონას ძე წერეთელი.**

3. ჩუბინიძის მოგონებების გამო

(დასაწყისი იხილეთ „თ. ტ.“ №5. გვ. 14).

ჩვენთვის ყოველნაირი დიქტატურა მიუღებელია, ყოველი ჩვენგანი, როცა რომელიმე საქმეზე მიდის, პრძანებით და შიშით კი არა, არამედ მოვალეობის შეგნებით. ყველა მომქმედმა უნდა იცოდეს რისთვის მოქმედებს, ამიტომ ურთიერთ ინფორმაცია აუცილებელია. როგორც მრავალი ჩვენგანი, ვ. ჩუბინიძე არც დახელოვნებული ჟურნალისტია და არც მწერალი. როცა ის წერს ან ამბობს: გოგიტა ფალავა და სხვები ინფორმაციას მაძლევდენო, ისე კი არ უნდა გავიგოთ თითქო მისგან გამოდი-

ოდეს ხელმძღვანელობა, არამედ სავალდებულოა ერთიერთ ინფორმაცია. რომ გამოქვეყნდეს, თუნდ მხოლოდ, ვ. ჩუბინიძის მოგონებაში დასახელებული პიროვნებების დღიურები; თუნდ ნესტორ ჩხიკვაძის, ახალგაზრდა პიმენ რამიშვილის, მუშა ვიქტორ კაპანაძის, პატარა გერასიმე ფარცხალიშვილის, კიდევ უფრო პატარა ვანო ფხალაძის, გრიგოლ ფხალაძის და ათასი სხვების, რას იტყვიან ვალიკო ჩუბინიძის „მოგონებით“ გაკვირვებულნი? მოგონებანი, ვისიც არ უნდა იყოს, არის ჩამოთვლა რაშიდაც ავტორს თვითონ მიუღია მონაწილეობა და რა შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ამა თუ იმ მოვლენას. ვ. ჩუბინიძეც ვერ აცდებოდა ამას. მის ჩამოთვლილ ამბებს, რაშიდაც თვით მიუღია მონაწილეობა და რომელიშიდაც არ მიუღია, ყველას ქონდა ადგილი. ისინი არიან შეტანილი „მოგონებაში“ ზოგან ყირამალა და ზოგან ისე როგორც იყო გავრცელებული და არ არის შემოწმებული. მაგრამ ფაქტი იყო, ამათ ესაჭიროებათ შესწორება, რაც არსებითად არ შეცვლის ვ. ჩ-ძის „მოგონებას“, პირიქით უფრო მეტ ღირებულებას მისცემს. ჩვენი ქვეყნის ისტორიკოსისათვის კარგი მასალა იქნება ვ. ჩ. „მოგონებები“. ისტორიკოსს გაუადვილებს ჩამოთვლილი ამბები შეადაროს სხვადასხვა ცნობებს და საბუთებს, რაც გადაჭარბებული ან დაკლებულია გაამთლიანებს, ამიტომ „მოგონებებში“ ჩამოთვლილი ამბების დასკვნები მომავალს ეკუთვნის. საჭიროა ითქვას: ვალიკო არა მარტო თავისებურათ ჩამოთვლის ამბებს და მოვლენებს, თავისებურ დასკვნებსაც აკეთებს. ამბობენ: „ამ დაფასებაში და დასკვნებში ხომ არ არის გახრაო?“ ბოლშევიკები ამით ისარგებლებენ და ათასგვარ დემაგოგიას გასწევენო, ამიტომ აქ დასკვნებზე საჭირო იყო მეტი სიფრთხილეო“. რომ დასკვნებზე და ბევრ რამეზე მეტი სიფრთხილე და თავდაჭერაც საჭიროა — ეს ჭეშმარიტებაა, რომ ბოლშევიკ-კომუნისტები ყოველ სწორს გააბრუნდებენ და სადემაგოგიოთ გამოიყენებენ ესეც ჭეშმარიტებაა და თვით ჩვენს არსებობასაც ხომ სადემაგოგიოთ იყენებენ. ცხადია, დემაგოგიას ვერას გზით ვერ აცდებით.

ვ. ჩუბინიძე ზოგ ადგილას მეც მიხსენიებს, რადგან ჯერ ცოცხალი ვარ, ვალდებულად ვთვლი თავს ზოგი ფაქტიური მდგომარეობის აღდგენის და შესწორების.

ჩამოთვლილ ამბებში, თითქმის ყველაზე უფრო საყურადღებოა 1924 წლის აგვისტოს საშაკაროზე გამოსვლები.

ვ. ჩუბინიძის თავისებურად ჩამოთვლილი 1924წ. აგვისტოს გამოსვლის (სრულიად არ იხსენიებს მებრძოლ ორგანიზაციებს) ამბებში წითელი ზოლივითაა ბატარერებული: მზადდებოდა აჯანყება. მისთვის მრავალბრივი მზადებაა; არიან სხვა და სხვა შემადგენლობის რაზმები, რომელთა დახმარებით უნდა მოხდეს აჯანყება. ეს მომზადება მოხდა ჰიათურაში, მაგრამ აჯანყებამ მიიღო შემთხვევითი ხასიათი, მიტომ, რომ გიორგი წიფიანელმა მისცა არა სწორი ცნობა და ერთმა ჯგუფმა [illegible] თავის თავზე აღებული მოვალეობა.

1924წ. აგვისტოს საშაკაროზე გამოსვლა ჰიათურაში შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითად?

ამ კითხვაზე პასუხი იძულებული ვარ გამიგრძელდეს, და ბევრი ჭეშმარიტების გამეორება დამჭირდეს, ამიტომ, წინასწარ ბოდიშს ვიხდი და პატიებას ვთხოულობ.

ქართველები, ბევრ სხვებთან ერთად, ყოველგვარი თავისუფლების; (ეროვნული, კლასობრივი, პიროვნული) წინასწარ პირობათ თვლიდენ თვითმპყრობელობის მოშლას, ამიტომ შეტევით პოლიტიკას აწარმოებდენ. 1917 წ. თებერვალში ეს წინასწარი პირობა შესრულდა; — თვითმპყრობელობა მოიშალა. ცხადია, ბრძოლის პირობები და მეთოდი უნდა შეცვლილიყო, უნდა გადასულიყვნენ მოპოებულ თავისუფლების დაცვაზე. აქაც ამ თავისუფლების დაცვის პოლიტიკას ქართველები მეთაურობდნენ. იბრძოდენ თავისფლების დასაცავად, როგორც საერთო, ისე კავკასიის და საქართველოს მასშტაბით. მთელი რუსეთის ტერიტორიაზე თავისუფლების წინააღმდეგ ამხედრდენ სხვადასხვა ფერის წამოსასხამში გახვეული შავი ძალები. ისინი გააფრთლებული ებრძოდენ ყოველგვარ თავისუფლებას, აგრეთვე იბრძოდენ ერთიერთს შორის გაბატონებისათვის. ამ დროს მხოლოდ საქართველო დარჩა ყოველგვარ თავისუფლების დამცველი.

როგორც თეთრ წამოსასხამში გახვეული ისე წითელში გახვეული შავი ძალები, ცალცალკე და შეერთებული, სხვა და სხვა ხრიკებით, პროვოკაციებით, მოგონილი და შეთხზული „საბუთებით“, გააფთრებულ იერიშებით მოდიოდენ ყოველგვარ თავისუფლების დამცველ საქართველოზე.

როდესაც წითელ წამოსასხამში გახვეულებმა სძლიეს თეთრებს და თავი გამოაცხადეს „კომუნისტებათ“, თითქმის ყველა შევიდა ეჭვში; შეიძლება აქედან რაიმე სიკეთე გამოვიდესო. ჩვენ ქართველები, იმთავითვე ვამტკიცებდით, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ კაცობრიობას მოვლინა უდიდესი საშიშროებათქო, (სამწუხაროთ რაც გამართლდა). ჩვენი, არა მარტო პრინციპი და სურვილია დემოკრატია და მშვიდობიანობა, არამედ ჩვენი სასიცოცხლო და საარსებო ინტერესი მოითხოვს მშვიდობიანი და კეთილგანწყობილობა ვიქონიოთ ერებთან, განსაკუთრებით ყველა მეზობლებთან. ამიტომ ჩვენი წარსული, და ასევე ორნახევარი წლის მოქმედება დიდათ იქნა მოწონებული მთელი მსოფლიოს სოციალისტების და მთელი კულტურული და პროგრესიული მსოფლიოსაგან. ამ მთელი მსოფლიოს მიერ მოწონებულ მოქმედებას რუსეთი კომუნისტების სახით, საქვეყნოდ ფიცით და ხელის ძოწერით გვიდასტურებს. მიუხედეავთ ყველა ამისა დიდი რუსეთის წითელ წამოსასხამში გახვეულმა უსაშინელესმა ძა

(გაგრძელება მე-16 გვ.)



† მიხეილ დადიანი

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.)

მიხეილ დადიანი დაიბადა ქ. ქუთაისში, 1899 წლის 22 მარტს. ის იყო ნიკოლოზ დადიანის და ლაისო მიქელაძის უფროსი ვაჟი. ბავშვობა, მიშამ, გაატარა ქუთაისში, წყეშში, ბანძაში და ნოსირში. სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა, საქ. დამოუკიდებლობის დროს დაარსებულ პირველ სამხედრო სკოლაში.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოსევისას მონაწილეობა მიიღო, ახალგაზრდა იუნკერმა, დედა ქალაქის დაცვაში; ტაბახმელასა და კოჯორის სახელოვან ბრძოლებში.

29648

საქართველოს დამარცხების შემდეგ, მიხეილ დადიანი ტოვებს სამშობლოს, თურქეთში ცოტა ხნით ყოფნის შემდეგ, მიემგზავრება პოლონეთში, იქ შედის და ამთავრებს სამხედრო სკოლას და 7 წლის განმავლობაში მსახურობს იაზლოვეცკის მე-14 პოლკის ოფიცრად. 1929 წლიდან საცხოვრებლად გადმოდის მშობლებთან პარიზში. ეწევა ეროვნულ მოღვაწეობას. აქტიური წევრია თეთრი გიორგის პარტიის. ომის დაწყებისთანავე მიეშურება ფრონტზე. სხვებთან ერთად ქმნის ქართულ ჯარის ნაწილებს. ხდება ცხენოსანი ჯარის ასეულის მეთაური და სარგებლობს მისი ჯარისკაცების დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

1941 წელში მიხეილმა ცოლად შეირთო ცნობილი ექიმის და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის შუათანა ქალიშვილი, თინა. ორთავემ ერთად შექმნეს იშვიათი ქართული ოჯახი, სადაც ყველა მეგობარს მიუხაროდა. მათმა სიყვარულმა შედეგიც ძვირფასი გამოიღო. შეეძინათ ვაჟი ცოტნე და ქალიშვილი ლაისო. ისინი ჯერეს შესანიშნავი ახალგაზრდები არიან და [illegible] გვაქვს არც მათ გვარს და არც მათ სახელებს არ შეარცხვენენ.

მიხეილ დადიანი ოჯახით, ომის შემდეგ ცხოვრობდა ამერიკის შ. შ. მსახურობდა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში, უფროს რადაქტორად. წერდა ჟურნალ „კავკასიონში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

უკანასკნელად პენსიაში იმყოფებოდა, როდესაც გულმა ულალატა და განეშორა, როგორც სათაყვანებელ ცოლშვილს, ისე მის ახლო მეგობრებს. ვეღარ მოესწრო ვერც მის სანუკვარ იდეის ხორცის შესხმას. ვერც მშობლიურ მიწაში საუკუნო განსვენებას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მიხეილ დადიანის ბრძოლების მონაწილის და მეგობრის გიორგი ვაჩნაძის მცირე მოგონებებს.

მიხეილ დადიანთან გამოვლილი ზოგიერთი მომენტები ომის დროს

მე აქ ძალიან მოკლედ გადმოგცემთ მიხეილ (მიშა) დადიანის პიროვნების დამახასიათებელ მომენტებს მეორე მსოფლიო ომის დროს. იმედი მაქვს ეს მცირედი ეპიზოდებიც ნათელს ყოფენ მიშას პიროვნების რაობას, მის დიდ მამულიშვილობას. მას ხომ თავისუფლად შეეძლო სიცოცხლე გაეწირა თავის სათაყვანებელ სამშობლოსათვის.

როგორც კი მიშა მოხვდა ჯარში, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ის მოექცა მის გარემოში, როგორც თევზი წყალში, თავისი ცოდნით, განსჯით, მოქმედებით. ვაჟკაცობით, სამხედრო საქმის სიყვარულით მან თავიდანვე დაიმსახურა საერთო ნდობა და ავტორიტეტი.

მიუხედავათ დიდი სიძნელეებისა, მიშამ შესძლო შეექმნა სუფთა ქართული ესკადრონი. მასში არ იყო არცერთი გერმანელი ოფიცერი.

1942 წელში, ქ. კისლავოდსკიდან დაბრუნების შემდეგ მიშამ მითხრა: „შენ ალბათ შემოგთავაზებენ გადასვლას „ს. ს.“-ში ბატალიონის უფროსად, სათანადო ჩინის მომატებით.“ მე შევეკითხე: „დ. ჭავჭავაძეს და შენ არ შემოგთავაზეს? — „ხო, მაგრამ ჩვენ ძალიან თავაზიანათ უარი ვუთხარით, ჩვენთვის ესეც საკმარისია, რომ ამ ფორმას ვატარებთ, და შემდეგ, „ს. ს.“-ში სულ სხვა ფიცია, სადაც საქართველოზე ლაპარაკი არ არის“. მიპასუხა მან.

ერთხელ მიშამ, მწყობრიდან გამოიძახა ერთი ათმეთაური, რომელიც რაღაც ძალიან გერმანელობდა, და მკაცრად უთხრა: „ეს ფორმა და სამხედრო ნიშნები შენ გათ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვეს, ეს შენი არ არის, არც ჩვენია. ბევრი ჩვენი მამაპაპები ინით იღებავდენ ფარჩხილებს და წვერს, მაგრამ გული ქართული რჩებოდათ, გაიგე? გასწი შენ ადგილას! — შემდეგ კი მიმართა ესკადრონს: — ხომ გასაგებია?"

უკან დახევის დროს, კავკასიიდან ყირიმამდის, სულ მუდამ არიერგარდში მყოფმა და 27 კილომეტრი აზოვის გაყინულ ზღვაზე გადავლით, მიშამ არ დაკარგა არც ერთი მხედარი და არც ერთი საბარგული, მაშინ როდესაც სხვა ნაწილებმა იმავე გზაზე დაკარგეს მრავალი ცხენი და საბარგული. რუმინელებმა იმავე ზღვაში დაჰკარგეს უამრავი ცხენი და ურემი, ჩვენ ვნახეთ თვით ერთი დიდი ავტობუსი სავსე ჯარისკაცებით ჩავარდნილი ამ ზღვაში.

ჩვენი ბატალიონი, რომელიც არიერგარდში იყო და რომელიც გამოდიოდა ყირიმიდან, მოკრილ იქნა მტრისაგან. მტერს ჰქონდა უზარმაზარი უპირატესობა, როგორც რიცხობრივად ისე შეიარაღებით. არასოდეს დამავიწყდება ის მძიმე და სამწუხარო (ჩვენ ამ დროს დავკარგეთ ნახევარზე მეტი ესკადრონის შემადგენლობა). მაგრამ იღბლიანი ბრძოლები, სადაც ჩვენებმა შეძლეს მთელი კვირა, არა მარტო არ მიეცათ მოსვენება, და ინიციატივის საშუალება, არამედ ერთი სოფელიც კი წაართვეს მოწინააღმდეგეს. მე მიკვირდა თუ როგორ ახერხებდა მიშა ყოფილიყო ყველგან, სავსე ვაჟკაცური ენერგიით და ფხიზელი გამჭრიახობით. ერთი მისი გამოჩენა აღაფრთოვანებდა და აკაჟებდა მეომრებს, რომლებიც უკვე კავკასიიდან მიეჩვიენ მის რწმუნებას.

გ. ვაჩნაძე.

ვ. ჩუბინიძის მოგონებების გამო.

ლამ — ეგრეთწოდებულმა კომუნისტებმა და მისმა ჯარმა, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა ყოველგვარ თავისუფლების დამცველ საქართველოს. ბრძოლა იყო უთანასწორო, ყოველგვარ ბრძოლის ფორმებს მოკლებუბული და დაუნდობელი. ცხადი იყო სამ მილიონიანი ხალხი ვერ გაუძლებდა ას ოთხმოც მილიონიან ხალხის ჯარს, ყოველმხრივ შეიარაღებულს. დავიხიეთ, არაფრ თუ ზავი. არავითარი შეთანხმებაც არ მომხდარა. დახეულები, რამდენადაც შესაძლებელია, ვაგრძელებთ ბრძოლას. მთავრობა იძულებული იყო საქართველოს საზღვრები დაეტოვებია, და შეძლებისა და მიზანშეწონილობის დაგვარად აგრძელებს ბრძოლას, საქართველოში დარჩენილები განაგრძობენ ბრძოლას. ეს ბრძოლები სხვადასხვა გვარია და სხვადასხვაფეროვანი, როგორც ყველა ეროვნული პარტიზანული ბრძოლები. 1921 წლიდან ერთი წუთითაც არ შეჩერებულა ბრძოლა. 1924 წლის 28 აგვისტოს სააშკაროზე გამოსვლა და ბრძოლის მიცემა ერთერთი ეტაპია, ფორმაა ამ მუდმივი ბრძოლის. ამ სააშკაროზე გამოსვლის წაგებით ქართველ ხალხს არც შიგნით და არც გარეთ არ შეუნელებია ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მტრის უხეშმა და არა ადამიანურმა მოქმედებამ და ქართველი ხალხის უდიდესმა მორალმა და ბრძოლის უნარიანობამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ ჩვენს და მათ შორის, რაიმე მორიგებაზე წასვლა ყოვლად შეუძლებელია, სანამ არ იქნება ჩვენი უფლება აღიარებული და სანამ არ გვექნება უზრუნველყოფა, როგორც სწორი სწორთან.

გ. კ. წერეთელი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

„თ. ტ." ფ ო ნ დ ი

დიმიტრი ბეგიაშვილი	50,00 ფრ.
კონსტანტინე ალშიბაია	50,00 ფრ.
დავით თოხაძე	400,00 ფრ.
იოსებ ყორყოლიანი	50,00 ფრ.
მიხეილ გაფრინდაშვილი	50,00 ფრ.
ლეონიდ ჭეიშვილი	100,00 ფრ.
მარტ. მგელაძე	100,00 ფრ.
მირიან მელუა	50,00 ფრ.
თამარ კვიტაიშვილი—მარანდი	46, 41 ფრ.
ილია მაღლაკელიძე	100,00 ფრ.
ისიდორე გაყონია	94,20 ფრ.
დავით დუიშვილი	100,00 ფრ.
არტურ მანუჩაროვი	100,00 ფრ.
ვიტალი უგრეხელიძე	21,50 ფრ.
შალვა შავლაყაძე	20,00 ფრ.
გიორგი ჯაყელი	119,05 ფრ.
გაიოზ დიდებულიძე	212.55 ფრ.
ირაკლი ოთხმეზური—	120,00 ფრ.
ირაკლი ჯაფარიძე	100,00 ფრ.
შოთა სმიტი	183.00 ფრ.
ყურულაშვილი ნიკო	50,00 ფრ.
ნიკოლოზ ბედელაძე	10,00 ფრ.
მზია და ალ. ჭეიშვილები	100,00 ფ.
სულ	2.226,71
ძველი ნაშთი	2,704,15
	4,930,86
მე-5 ნომრის ხარჯები მთლიანად	2.140,81
30 ნოემბერს სალაროში რჩება	2.790,05

---

† მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

— ა/წ. 10 ოქტომბრს, კლამარიდან (პარიზის გარეუბანი), ლევილის ძმათა სასაფლაოზე გადმოასვენეს **ალექსანდრე ბერაძე.**

— 19 ნოემბერს 1974 წელს, პარიზში გარდაიცვალა **ელენე ტუსენი—შარაშიძისა.**

— ა/წ. 20 ნოემბერს, პარიზში გარდაიცვალა **დალილა ბოცვაძისა.** დასაფლავებულია მისი ქმრის გვერდით ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

— 19 ნოემბერს 1974 წელს, ქ. გაპ-ში (ალპ—მარიტიმის დეპარტამენტში), 82 წლის ასაკში გარდაიცვალა და იქვე დროებით დაასაფლავეს. **ჯიბრაილ (ჯიბო) უანჩელი.**

თავისუფლების ტრიბუნა გლოვობს მათ. დაკარგვას და ღრმა მწუხარების გამომხატველ სამძიმარს უცხადებს მათ უნუგეშო ჭირისუფლებს და მეგობრებს.

მასალები და შემოწირულებანი ღნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Directeur : G. TSERETELI 193, Avenue du Belvédère 75019 PARIS Tél. : 607.08.14

Edition hors commerce Imprimerie Coopérative Arpajonaise